

ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმა

2014-2015

დამტკიცებული ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის 2014 წლის 6 ივნისს

მეექვსე სხდომაზე

I შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფუნდამენტური პრინციპები - მთავრობათა ღიაობა, გამჭვირვალობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა - საქართველოს მთავრობის სტრატეგიული მნიშვნელობის ღირებულებებია. მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით, გამჭვირვალობითა და ანგარიშვალდებულებით საქართველო მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, მოქალაქეთა გაძლიერებას და მთავრობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობას 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა. წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს რიგით მეორე სამოქმედო გეგმაა.

მიუხედავად პოსტ-საბჭოთა წარსულისა, დღეს საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის გამოირჩევა კორუფციის დაბალი მაჩვენებლით. კორუფციის გლობალური ბარომეტრის კვლევის მიხედვით საქართველოში მექრთამეობის მაჩვენებელი არის მხოლოდ 4%,[1] ხოლო მსოფლიო ბანკის კვლევით ბიზნესის კეთების შესახებ, საქართველო მე–8 ადგილს იკავებს ბიზნესის კეთების სიმარტივით.[2] საქართველო ამაყობს სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობისა და საჯარო სერვისებით უზრუნველყოფის სფეროში მიღწეული შედეგებით, პროექტები და ინიციატივები, რომლებმაც საერთაშორისო მასშტაბით მოწონება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ჯილდო დაიმსახურა.

სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე საქართველოს წინაშე კვლავ მრავალი გამოწვევაა. ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში ასახული გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დღის წესრიგი და მასში ასახული ამბიციური ვალდებულებები სწორედ ქვეყნის დემოკრატულ განვითარებას ემსახურება.

[1]კორუფციის გლობალური ბარომეტრი, 2013 წ. გვ.33, საერთაშორისო გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომია: http://www.transparency.org/gcb2013/report.

[2]ბიზნესის კეთება 2014, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორის ბანკი/ მსოფლიო, მე-11 გამოცემა. გვ.193, ხელმისაწვდომია: http://www.doingbusiness.org/reports/global-reports/doing-business-2014.

II. 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი პროდუქტია. მის შემუშავებაში ასევე მონაწილოება მიიღო ფართო საზოგადოებამ საჯარო კონსულტაციების გზით. გეგმა შემუშავდა ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმის **ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის (ფორუმი)** ფარგლებში და ქვეყნის მასშტაბით გამართული საჯარო კონსულტაციების შედეგად.

ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს სამოქმედო გეგმის პირველად პროექტში ასახულ ვალდებულებებს. გარდა ამისა, მათი დამატებითი რეკომენდაციები, რომლებიც გეგმის პირველი პროექტის შემუშავების შემდეგ წარმოადგინეს, უმეტესწილად გათვალისწინებული იქნა და ვალდებულებების სახით აისახა ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში. [3]

2.1. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი - ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმი

ღია მმართველობის პირველი სამოქმედო გეგმა შემუშავდა და დამტკიცდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში. თუმცა, ეს გეგმა ეროვნულ დონეზე არ იყო გამყარებული ნორმატიული აქტით. ასევე არ არსებობდა ჩამოყალიბებული ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმი. ფუნქციონირებდა მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის გაერთიანება - არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი,[4] რომელიც პერიოდულად იკრიბებოდა იუსტიციის სამინისტროში, სამინისტროს წარმომადგენელთან შეხვედრაზე. ფორუმის შეხვედრები ძირითადად სპონტანურ ხასიათს ატარებდა. ფორუმს არ ჰქონდა გამოკვეთილი ფუნქციები.

2013 წლის 9 ივლისის მთავრობის №775 განკარგულებით „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“ ღია მმართველობის პარტნიორობის კოორდინაცია ეროვნულ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭო) დაევალა.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ (სამდივნო) ღია მმართველობის პარტნიორობის რეგულაციების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გააქტიურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის გარდაქმნის მიზნით, შეიმუშავა განახლებული ფორუმის სახელმძღვანელო წესები, რომელშიც დეტალურად გაიწერა ფორუმის ფუნქციები და მის მუშაობასთან დაკავშირებული პროცედურები, ფორუმის შემადგენლობას დაემატა პასუხისმგებელი უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

[3] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმართვა.

[4] ფორუმის შედგებოდა შვიდი არასამთავრობო და ერთი დონორი ორგანიზაციისგან. შეხვედრებზე ფორუმის შემადგენლობა ერთმანეთს უზიარებდა იდეებს და სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ სიახლეებს.

ფორუმს ხელმძღვანელობენ თანათავმჯდომარეები, მთავრობის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელები. არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად წარუდგენენ კანდიდატი ფორუმს, რომელსაც ირჩევს ფორუმი. ფორუმის ფუნქციებს შორისაა სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგი და ხელშეწყობა. ახალი მოდელით ფორუმი სრულად ეხმიანება ღია მმართველობა საქართველოს შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმის რეკომენდაციებს ამ თემაზე.

განახლებული ფორუმის პირველი სხდომა 2014 წლის 15 იანვარს გაიმართა. სხდომაზე მიღებულ იქნა ფორუმის სახელმძღვანელო წესები. ფორუმი შეთანხმდა ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპებზე და ფორმატზე, პარტნიორობის სამდივნოს მიერ მოწოდებული სამოქმედო გეგმის ნიმუშისა და შესაბამისი გაიდლაინების მიხედვით. ფორუმის ინიციატივით, სამოქმედო გეგმის თითოეულ ვალდებულებას დაემატა ინდიკატორებისა და ვალდებულების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება. ფორუმი რეგულარულად იკრიბება ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს იუსტიციის სამინისტროში.

ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას დაეთმო 2 გაფართოებული მრგვალი მაგიდა, ფორუმის 4 გეგმიური და 2 *ad hoc* სხდომა, აგრეთვე ინდივიდუალური შეხვედრები და ინტენსიური კონსულტაციები სამდივნოს, პასუხისმგებელ უწყებებს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, ანტიკორუფციული საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ღია მმართველობის პარტნიორობისათვის წარსადგენი გეგმის პირველადი პროექტი.

2.2. საჯარო კონსულტაციები

ღია მმართველობის პარტნიორობის რეგულაციებით განსაზღვრულია, რომ სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს ფართო საზოგადოებასთან კონსულტაციით გზით. საჯარო კონსულტაციების გაიდლაინის შესაბამისად, კონსულტაციებისათვის განსაზღვრული ერთთვიანი პერიოდის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების მხედველობაში მიღებით და მათი უშუალო ჩართულობით ფორუმმა შეიმუშავა საქართველოს მასშტაბით ჩასატარებელი საჯარო კონსულტაციების გეგმა. დეტალურად გაიწერა კონსულტაციების მიზანი, ფარგლები, შეხვედრების გამართვაზე პასუხისმგებელი არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სამიზნე ჯგუფები.

საჯარო კონსულტაციები ჩატარდა საქართველოს 15 ქალაქში USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრების მხარდაჭერით. საქართველოს მასშტაბით გამართულ 19 შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 700-მდე დაინტერესებულმა პირმა. საჯარო კონსულტაციებისათვის განსაზღვრული სამიზნე ჯგუფები მოიცავდა: ადგილობრივი თვითმმართველობების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, ბიბლიოთეკარებს, სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს. კონსულტაციებში ხუთი სხვადასხვა უნივერსიტეტი ჩაერთო. ღია მმართველობა საქართველოს პროცესებში წვლილი შეიტანა საქართველოს ადგილობრივმა მედიამ, რომელიც მონაწილეობდა შეხვედრებში და ამავდროულად ავრცელებდა

ინფორმაციას კონსულტაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.

ონლაინ კონსულტაციისთვის, იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე, ღია მმართველობის ბანერის ქვეშ შეიქმნა ონლაინ კონსულტაციის ველი. საჯარო კონსულტაციების განრიგი განთავსდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ღია მმართველობის ბანერის ქვეშ.

საჯარო კონსულტაციების დასასრულს, შეხვედრებში მონაწილე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ შედგენილი ოქმების საფუძველზე, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ მოამზადა და სამოქმედო გეგმის პირველად ვერსიასთან ერთად ანტიკორუფციულ საბჭოს 2014 წლის 14 აპრილის სხდომაზე წარუდგინა ანგარიში 2014 წლის საჯარო კონსულტაციების შესახებ.

გეგმაში შესული რამდენიმე ვალდებულება საჯარო კონსულტაციებს ეფუძნება, მათ შორისაა, საჯარო სამსახურში მიღებისა გამჭვირვალე პროცედურა, იუსტიციის სახლებში სერვისების დამატება, საზოგადოებრივი ცენტრების გაფართოება, დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის არსებობა, პეტიციების პორტალი და სხვ.

2.3. არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციები

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის ინტენსიური მუშაობისა და საჯარო კონსულტაციების შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსია ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს 2014 წლის 2 მაისს წარედგინა.

სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტის წარდგენის შემდგომ, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს დამატებითი ვალდებულებების შესახებ ერთობლივი რეკომენდაციები წარუდგინეს ფორუმის არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ამ რეკომენდაციების გაზიარების მიზნით ჩატარდა კონსულტაციების მეორე რაუნდი. რეკომენდაციებისა და გეგმის საბოლოო განხილვა ჩატარდა ფორუმის გაფართოებულ სხდომაზე 2014 წლის 6 ივნისს. რეკომენდაციებთან ერთად ფორუმს წარედგინა პარტნიორობის სამდივნოსგან მიღებული კომენტარები. ამავე სხდომაზე ფორუმი შეთანხმდა სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტზე.

2.4. სამოქმედო გეგმის მიმოხილვა

ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლების სამოქმედო გეგმაში გაერთიანებულია **16 პასუხისმგებელი უწყების 26 ვალდებულება,** რომლებიც შესაბამისობაშია ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებთან - გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა ჩართულობა და ტექნოლოგია და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის.

გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები პასუხობს ღია მმართველობის **4 გამოწვევას:** საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

საჯარო მომსახურების გაუმჯობესების გამოწვევაში გაერთიანებულია 8 ვალდებულებაა, რომლებიც ორიენტირებულია გამარტივებული და მომხმარებლის კომფორტზე მორგებული საჯარო სერვისების მიწოდებაზე, მომხმარებელთან უშუალო კომუნიკაციის გზით სერვისების მიწოდების გაუმჯობესებაზე, ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე ელექტრონული მმართველობის დანერგვასა და სახელმწიფოს მიერ ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

გეგმით გათვალისწინებული მომდევნო 10 ვალდებულება, რომელიც მეორე გამოწვევას, **საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებას** ეხმიანება, ითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის რეფორმას, ელექტრონული პეტიციების ვებგვერდის შექმნასა და საჯარო სექტორის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას პოლიტიკური პარტიების შესახებ ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების, საჯარო სექტორში კონკურსის წესების დახვეწისა და საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შექმნის მეშვეობით. მეორე გამოწვევის ფარგლებში გაერთიანებული ვალდებულებები ასევე ითვალისწინებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო პროცესების შესახებ და სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას ღია მმართველობა საქართველოს პროცესებში ეროვნულ დონეზე კოორდინაციის ეფექტური მექანიზმის – ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მხარდაჭერის გზით. მეორე გამოწვევას, არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციით, უერთდება საქართველოს უზენაესი სასაართლოც, რომელიც იღებს ვალდებულებას აწარმოოს და პროაქტიულად გამოაქვეყნოს ფარული მიყურადების შესახებ სასამართლოს სტატისტიკა.

საჯარო რესურსების უკეთესი მართვის გამოწვევაში გაერთიანებულია 7 ვალდებულება, რომელთა მიზანია საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება და საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა. მესამე გამოწვევის ქვეშ ასევე გაერთიანებულია არქივებში დაცული მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ელექტრონული არქივისა და შესაბამისი კატალოგების შექმნის და გამოქვეყნების გზით. სამოქმედო გეგმა ამავე გამოწვევის ფარგლებში ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გაფართოებას და საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარებას.

ქვეყნის მასშტაბით მოქმედი გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის მიერ მასთან დასაკავშირებელი ალტერნატიული გზების შემუშავება და დანერგვა, ასევე დანაშაულის კრიმინოგენური რუკის შექმნა და ინტერაქტიული სტატისტიკის წარმოება მეოთხე, **უსაფრთხო გარემოს შექმნის** გამოწვევის ფარგლებში მთავრობა იღებს ვალდებულებას ხელმისაწვდომი გახადოს დანაშაულის დეტალური სტატისტიკა ინტერაქტიული ფორმით და შექმნას

გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

ვალდებულება 1: კერძო სექტორის სერვისების დანერგვა იუსტიციის სახლებში

იუსტიციის სახლი ქართული ინოვაციაა, რომლის კონცეფცია „ყველაფერი ერთ სივრცეში“ გულისხმობს მოქალაქეთათვის საჯარო სერვისების მიწოდებას სწრაფად და მარტივად, ერთ სივრცეში.

იუსტიციის სახლი მუდმივად ზრუნავს სერვისების გამრავალფეროვნებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საჯარო კონსულტაციების ფარგლებში მოსახლეობამ კმაყოფილება გამოხატა იუსტიციის სახლის უკვე არსებული სერვისებით და სურვილი გამოთქვა, მეტი მომსახურება მიიღონ იუსტიციის სახლის სასიამოვნო გარემოში.

ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, იუსტიციის სახლი დანერგავს ახალ პროდუქტებს:

ა) **სამოგზაურო დაზღვევის პოლისების გაცემა იუსტიციის სახლში** - მოქალაქეებს, პასპორტზე განაცხადის გაკეთებასთან ერთად საშუალება მიეცემათ იუსტიციის სახლშივე აიღონ სამოგზაურო დაზღვევის პოლისი. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში მცხოვრებთათვის, ვინაიდან რიგ შემთხვევებში, მოქალაქეებს სადაზღვევო პოლისის მისაღებად სხვა ქალაქში გადაადგილებაც კი უხდებათ.

ბ) **სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისის მიწოდება იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის** - იუსტიციის სახლი სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ერთად იმუშავებს, რათა სახელმწიფო ქონების პრივატიზების ან იჯარის სერვისი ხელმისაწვდომი გახდეს იუსტიციის სახლში. მომხმარებლები ერთ სივრცეში შეძლებენ სახელმწიფო უძრავი ქონების როგორც შესყიდვას ან იჯარით მფლობელობაში აღებას, ასევე, ამ ქონების რეგისტრაციას. საწყის ეტაპზე სერვისი დაინერგება იქ, სადაც ეს მომსახურება დღეისთვის საერთოდ არ არსებობს, მათ შორის, სადაც სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს არ აქვს მომსახურების ცენტრები (ოზურგეთი, გურჯაანი, ბათუმი და მარნეული.) და მომხმარებელს სერვისის მისაღებად უწევს სხვა ქალაქში ჩასვლა.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014*

ვალდებულება 1(ა): სადაზღვევო სერვისი იუსტიციის სახლში	
წამყვანი დაწესებულება	სსიპ იუსტიციის სახლი

პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	სადაზღვევო კომპანიები		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		პასპორტი და სამოგზაურო დაზღვევა არ არის ხელმისაწვდომი ერთ სივრცეში.		
მთავარი მიზანი		მომხმარებლის კმაყოფილების ზრდა; მოსახლეობისთვის ერთ სივრცეში უფრო მეტი სერვისის შეთავაზება		
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
			✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. იუსტიციის სახლში სადაზღვევო პოლისების გაცემის პროცესის შემუშავება		მიმდინარე	დეკემბერი 2013	ივლისი 2014
2. სადაზღვევო კომპანიების მოძიება და მათთან შეთანხმება		ახალი	ივნისი 2014	აგვისტო 2014
3. პროექტის ყველა ფილიალში დანერგვა		ახალი	სექტემბერი 2014	დეკემბერი 2014
ინდიკატორი		2014 წლის ბოლოს იუსტიციის სახლში სადაზღვევო კომპანიების სერვისი დანერგილია		
რისკები და ვარაუდები		სადაზღვევო კომპანიის შერჩევის სირთულე, სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის სირთულე.		

ვალდებულება 1 (ბ): სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისები იუსტიციის სახლში				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ იუსტიციის სახლი		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისი არ არის ხელმისაწვდომი იუსტიციის სახლში		
მთავარი მიზანი		სერვისის მიწოდების გამარტივება, მოქალაქეთა კმაყოფილების ზრდა		
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
			✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი

1. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისის მორგება იუსტიციის სახლის სერვისებზე	ახალი	მაისი 2014	ივლისი 2014
2. პროდუქტის ყველა ფილიალში დანერგვა	ახალი	ივნისი 2014	სექტემბერი 2014
ინდიკატორი	2014 წლის ბოლოს იუსტიციის სახლში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისი დანერგილია		
რისკები და ვარაუდები	პარტნიორებს შორის რიგ საკითხებზე შეუთანხმებლობა		

ვალდებულება 2: მომხმარებლის ხმა

მნიშვნელოვანია, რომ სერვისების განვითარებას საფუძვლად დაედოს მოქალაქეების უკუკავშირი. ამ ეტაპზე იუსტიციის სახლის მომხმარებლის უკუკავშირი საჩივრის წარდგენის შესაძლებლობით შემოიფარგლება.

ამ ვალდებულების ფარგლებში იუსტიციის სახლი დანერგავს უკუკავშირის მექანიზმს, ე.წ. „მომხმარებლის ხმას“, რომლის მიზანი იქნება თითოეულ უკუკავშირზე მოქალაქესთან კომუნიკაცია და იუსტიციის სახლში არსებული პროდუქტების, მიმდინარე პროცესების შესახებ მისთვის ინფორმაციის მიწოდება, შესაძლებლობის ფარგლებში კი სერვისების, არსებული პროცედურებისა და სტანდარტების გაუმჯობესება მოქალაქეთა მოსაზრებების გათვალისწინებით და მათი ჩართულობით.

ახალი მექანიზმი გაზრდის იუსტიციის სახლის ანგარიშვალდებულებას საზოგადოებისადმი, ხოლო მომხმარებელს საშუალებას მისცემს, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მომსახურების პროცესების დახვეწასა და ხარისხის განვითარებაში.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014*

ვალდებულება 2: მომხმარებლის ხმა		
წამყვანი დაწესებულება		სსიპ იუსტიციის სახლი
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	იუსტიციის სახლის მომხმარებელი
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ამ ეტაპზე საზოგადოებას არ აქვს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც დააფიქსირებდა საკუთარ მოსაზრებას იუსტიციის სახლში არსებული სერვისების, მომსახურების შესახებ. „მომხმარებლის ხმა“ უზრუნველყოფს მოქალაქეთა უშუალო ჩართულობას იუსტიციის სახლის ფარგლებში მიმდინარე პროცესებში
მთავარი მიზანი		იუსტიციის სახლის ანგარიშვალდებულების გაზრდა;

	მომხმარებლების ჩართულობა მომსახურების განვითარების პროცესებში		
OGP გამოწვევა	საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. პროგრამული და ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფა	ახალი	მაისი 2014	აგვისტო 2014
2. პროექტის ყველა ფილიალში დანერგვა	ახალი	აპრილი 2014	აგვისტო 2014
ინდიკატორი	2014 წლის პირველ ნახევარში პროექტი „მომხმარებლის ხმა“ ამოქმედებულია		
რისკები და ვარაუდები	უკუკავშირის მოცულობიდან გამომდინარე შესაძლებელია საჭირო გახდეს ადამიანური რესურსის გაზრდა.		

ვალდებულება 3: მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული ახალი სერვისის - JUSTDRIVE-ის ამოქმედება

იუსტიციის სახლის ახალი პროექტი JUSTdrive სასურველი სერვისის მიღების ინოვაციური გზა იქნება მოქალაქეთათვის. მომხმარებელი შეძლებს დაზოგოს დრო და ავტომობილიდან გადაუსვლელად, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე JUSTdrive ფანჯარასთან მხოლოდ ელექტრონული პირადობის მოწმობით მიიღოს სასურველი მომსახურება.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014*

ვალდებულება 3: ჯასთ დრაივის (“JUSTdrive”) ამოქმედება		
წამყვანი დაწესებულება		სსიპ იუსტიციის სახლი
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული არქივი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, სმართ ლოჯიქი
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ამჟამად სერვისის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის მომსახურების სივრცეებსა და იუსტიციის სახლის კაფეში - JUSTcafe. მოქალაქეთა მეტი კომფორტისა და მათი დროის დაზოგვის მიზნით იუსტიციის სახლი მომხმარებელს შესთავაზებს სერვისის მიღების კიდევ უფრო მარტივ გზას JUSTdrive-ს.
მთავარი მიზანი		სერვისების მიწოდების ალტერნატივის შექმნა;

	მომხმარებლის კმაყოფილების ზრდა		
OGP გამოწვევა	საჯარო მომსახურების გაუმჯობესება		
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. "JUSTdrive"-ის ტექნიკური გამართვა	არსებული	მაისი 2012	ივლისი 2012
2. ადამიანური რესურსის შერჩევა და გადამზადება	ახალი	მიასი 2014	ივნისი 2014
3. პროექტის დანერგვა	ახალი	ივლისი 2014	სექტემბერი 2014
ინდიკატორი	2014 წლის ბოლოს JUSTdrive ამოქმედებულია		
რისკები და ვარაუდები	პნევმატური ფოსტის (პასპომატი - დოკუმენტების ავტომატური მართვის სისტემა) ტექნიკური გაუმართაობა, ჯასთ დრაივის ("JUSTdrive") სოფტის ჩავარდნა		

ვალდებულება 4: მოქალაქის პორტალის WWW.MY.GOV.GE - ის განვითარება

მოქალაქის პორტალის www.my.gov.ge მეშვეობით შესაძლებელი გახდა საჯარო მომსახურების მიღება ონლაინ და საჯარო დაწესებულებასა და მოქალაქეს შორის ელექტრონული კომუნიკაცია. პორტალის დანერგვით მთავრობამ გაზარდა სახელმწიფო აპარატის ეფექტიანობა და ანგარიშვალდებულება, შესაძლებელი გახადა მოქალაქესთან მარტივი კომუნიკაცია, მომსახურების გაწევისას კი კორუფციის რისკი დაიყვანა ნულამდე.

მოქალაქის პორტალი 2012 წლიდან მოქმედებს. 2013 წლისათვის მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებული იყო 60-მდე სახელმწიფო სერვისი და 80-მდე კომუნალური გადასახადი. პორტალს აქვს ბიზნესის ონლაინ რეგისტრაციის მოდული. გარდა ამისა, მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს ელექტრონულად გააგზავნოს წერილი სახელმწიფო უწყებაში და ელექტრონულადვე მიიღოს პასუხი.

ამ ვალდებულების ფარგლებში, მონაცემთა გაცვლის სააგენტო განავითარებს მოქალაქის პორტალს და დაამატებს ახალ სერვისებს. 2015 წლის ბოლომდე სააგენტო უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს, განათლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროების ელექტრონული სერვისების პორტალზე იტეგრირებას.

პორტალს ასევე დაემატება მუნიციპალური ელექტრონული სერვისები. მხედველობაში იქნება მიღებული შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმის რელევანტური რეკომენდაციები. პორტალზე არსებული ელ-სერვისების უფრო მარტივად გამოყენების მიზნით, სააგენტო შექმნის მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების კატალოგს, პორტალის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად კი, 2015 წლის ბოლომდე - დაგეგმავს და განახორციელებს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014*

ვალდებულება 4: მოქალაქის პორტალის განვითარება				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები; ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეისათვის მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმაციის მოძიება და სარგებლობა, ასევე საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაცია შეუძლიათ მოქალაქის პორტალის - my.gov.ge საშუალებით. სერვისების მიღება შესაძლებელია საზღვარგარეთიდანაც. მოქალაქეს პორტალის მეშვეობით შეუძლია მიმართოს 52 ცენტრალურ და 408 ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებას ელექტრონული განაცხადით. პორტალს დაემატება ის ახალი ელექტრონული სერვისები, რომლებზეც საზოგადოების მოთხოვნა მაღალია. ერთ–ერთი მთავარი პრობლემაა პორტალის შესახებ საზოგადოების დაბალი ცნობიერება, რის გამოც დაბალია სერვისების გამოყენების მაჩვენებელი. საჭიროა დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლების კამპანია, რათა გაიზარდოს პორტალის რეგისტრირებულ მომხმარებელთა რიცხვი და შესაბამისად, ელექტრონული სერვისებით სარგებლობა.		
მთავარი მიზანი		პორტალის გამოყენების გაზრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ელექტრონული სერვისების დამატებისა და პორტალის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის გზით. სახელმწიფო აპარატის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაზრდა.		
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
			✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი

1. იუსტიციის სამინისტროს ელექტრონული სისტემების ინტეგრირება მოქალაქის პორტალზე	ახალი	2014	2015
2. განათლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ელექტრონული სერვისების პორტალზე იტეგრირება	ახალი	2014	2015
3. მუნიციპალური ელექტრონული სერვისების პორტალზე ინტეგრირება	ახალი	სექტემბერი 2014	2015
4. მომხმარებლებისთვის ელექტრონული სერვისების მიწოდების გაუმჯობესება: *ა. ელექტრონული კატალოგის შექმნა ბ. ხარჯთაღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი სისტემის შექმნა*	ახალი	2014	დეკემბერი 2014
5. მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების კამპანია	მიმდინარე		დეკემბერი 2015
ინდიკატორი	მოქალაქის პორტალის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზრდება 15%-ით 2015 წლის ბოლომდე წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. სერვისების რაოდენობა გაიზრდება 10%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.		
რისკები და ვარაუდები	თანამედროვე ელ. მექანიზმების მოხმარების ფართო გავრცელებასთან დაკავშირებული სირთულეები.		

ვალდებულება 5: ელექტრონული მმართველობის დანერგვის გზით ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება

ა) საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში

რეგიონული განვითარება, რეგიონებში მოქალაქეთათვის სერვისების ხელმისაწვდომობა და მათი ჩართულობა არის გამოწვევა, რომლის პასუხადაც საქართველოს მთავრობამ დაიწყო საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება.

საზოგადოებრივი ცენტრი ასრულებს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის სერვისების მიწოდების, ისე საზოგადოების ჩართულობის და გააქტიურების ფუნქციას.

ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკით. ცენტრში დასაქმებულია საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები, რომლებიც, ელექტრონული მმართველობის გამოყენებით, გასცემენ ცენტრალური ხელისუფლების, მუნიციპალურ და კერძო სექტორის სერვისებს. საზოგადოებრივ ცენტრში განთავსებულია გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ოფისი და გამოყოფილია სპეციალური სივრცე საზოგადოებრივი

ჩართულობის ხელშესაწყობად. მოქალაქეთათვის ასევე ხელმისაწვდომია უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეო კონფერენციის აპარატურა, ბანკომატები და სწრაფი გადახდის აპარატები.

საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში უზრუნველყოფს საჯარო და ყველაზე მოთხოვნადი კერძო სერვისების ხელსაწვდომობას სოფლის დონეზე. ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს მიიღოს 200–მდე მომსახურება სოფლიდან გაუსვლელად.

ამ ეტაპზე, საქართველოს მასშტაბით, 12 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს და დაგეგმილია 6 დამატებითი ცენტრის მშენებლობა 2014 წლის ბოლომდე, რაც ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტი მოქალაქის ჩართულობას მიმდინარე პროცესებში და წაახალისებს საზოგადოებას, მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

პასუხისმგებელი ორგანო: *სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014–2015*

ვალდებულება 5 (ა): საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	ადგილობრივი თვითმმართველობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს მექანიზატორი, იუსტიციის სამინისტროს ტრენინგ ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ევროკავშირი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“, ლიბერთი ბანკი, მაგთიკომი		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		გაუმართავი ადგილობრივი ინფრასტრუქტურა; საჯარო მომსახურების ეფექტურად მიწოდების საშუალებების ნაკლებობა ადგილობრივ დონეზე; სამოქალაქო ჩართულობის დაბალი დონე		
მთავარი მიზანი		ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა; სოფლის დონეზე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე კერძო სექტორის ძირითად სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა.		
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა.		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი

	ვალდებულება		
1. 6 ახალი საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა, მოწყობა და აღჭურვა	მიმდინარე	იანვარი 2014	დეკემბერი 2014
2. საზოგადოებრივი ცენტრებისათვის კადრების შერჩევა, დატრენინგება და სტაჟირება შესაბამის უწყებებში	მიმდინარე	დეკემბერი 2013	ნოემბერი 2014
3. 6 ახალი საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა	მიმდინარე	ოქტომბერი 2014	დეკემბერი 2014
4. ახალი საზოგადოებრივი ცენტრების თვითმმართველობების საკუთრებაში გადაცემა	მიმდინარე	თებერვალი 2015	თებერვალი 2015
5. მოქმედ და ახალ საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის სტიმულირების მიზნით სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეშვეობით	მიმდინარე	სექტემბერი 2014	დეკემბერი 2015
ინდიკატორი	საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა; ადგილობრივი მოსახლეობის კმაყოფილება მიღებული მომსახურებით (ხარისხობრივი კვლევის შედეგად); ცენტრებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა		
რისკები და ვარაუდები	თვითმმართველობის რეფორმა, თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მუნიციპალიტეტში კადრების ცვლილება; მუციპალიტეტის მხარდაჭერის ნაკლებობა პროექტის განხორციელების პროცესში; ცენტრების მშენებლობასთან დაკავშირებული პროცედურების დროში გახანგრძლივება და დადგენილი ვადების გადაცდენა.		

ბ) ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში

მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში მიზნად ისახავს მმართველობის დონის გაუმჯობესებას და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის გაზრდას.

საპილოტე პროექტის ფარგლებში, მოხდა თვითმმართველობის კომპეტენციებში არსებული მომსახურებების 10–მდე პროცესის შესწავლა და, მასზე დაყრდნობით, მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება. 2014 წლის მანძილზე სისტემის დანერგვა დაიწყება 6 საპილოტე მუნიციპალიტეტში (ქარელი, თეთრიწყარო, ხაშური, ხობი, ახმეტა, გარდაბანი), რისთვისაც დაგეგმილია შესაბამისი კადრების გადამზადება და მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა ტრენინგი.

თვითმმართველობების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართვის შედეგად, პროცესები გახდება უფრო გამჭვირვალე და ეფექტიანი. შესაძლებელი გახდება წვდომა არსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან (სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო

რეესტრის სააგენტოს, სოციალურ მომსახურების და სხვა ცენტრალურ ხელისუფლებისა თუ სხვა კერძო კომპანიების მონაცემთა ბაზები), რაც შეამცირებს ადამიანური და დროითი რესურსების დანახარჯებს, თვითმმართველობის აპარატში მოქალაქეთა მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შემოწმების კუთხით.

პროცესები, რომლის მიწოდებაც მოხდება ახალი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ასევე ხელმისაწვდომი გახდება my.gov.ge პორტალიდან. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესწავლის მიზნით, სააგენტო ჩაატარებს კვლევას და კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებს ახალ პორტალს, რომელზეც განთავსდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტისა და საზოგადოებრივი ცენტრების საქმიანობის შესახებ.

2014-2015 წლებში ელექტრონული მმართველობა დაინერგება დამატებით 4 მუნიციპალიტეტში. ასევე იგეგმება, სისტემის განვითარების მიზნით, პროექტის საწყის ეტაპზე შერჩეული მომსახურებების რაოდენობის გაზრდა, სხვა მომსახურებების შესწავლა და ელექტრონული მმართველობის სისტემაში შესაბამისი საქმისწარმოების პროცესების გათვალისწინება.

პასუხისმგებელი ორგანო: *სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხოციელების ვადა: *2014–2015*

ვალდებულება 5 (ბ): ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში		
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	ადგილობრივი თვითმმართველობები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სოციალური განვითარების სააგენტო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ევროკავშირი, UGT
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		გაუმართავი ადგილობრივი ინფრასტრუქტურა; საშუალებების ნაკლებობა საჯარო მომსახურების ეფექტურად მიწოდებისთვის ადგილობრივ დონეზე; ინფორმაციის ნაკლებობა; მართვის არაეფექტური პროცედურები, რაც უარყოფითად აისახება მოქალაქეთა მომსახურების ხარისხზე
მთავარი მიზანი		ელექტრონული მმართველობის დანერგვის გზით ადგილობრივ თვითმმართველობებში მმართველობის გაუმჯობესება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო ფინანსების უკეთესი მართვა.

OGP პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. ელექტრონული მმართველობის ახალი სისტემის ტრენინგ პროგრამის დამუშავება და მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტრენერების მომზადება	მიმდინარე	მარტი 2014	ივლისი 2014
2. ტრენინგების ჩატარება ელექტრონულ მმართველობაში შერჩეული მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისთვის	ახალი	ივლისი 2014	თებერვალი 2015
3. მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ელექტრონული მმართველობის სისტემის ტესტირებისა და კონფიგურაციის პროცესში	ახალი	ივლისი 2013	თებერვალი 2015
4. ელექტრონული მმართველობის სისტემაში შემავალ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა my.gov.ge პორტალის საშუალებით	ახალი	დეკემბერი 2014	თებერვალი 2015
5. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესწავლის მიზნით, კვლევის ჩატარება და კვლევის საფუძველზე ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებული ახალი პორტალის დიზაინის შემუშავება	მიმდინარე	მარტი 2014	სექტემბერი 2014
6. ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული ახალი პორტალის შექმნა და გაშვება	ახალი	სექტემბერი 2014	სექტემბერი 2015
7. ელექტრონული მმართველობის დანერგვისათვის სააგენტოს სასერვერო ინფრასტრუქტურის გაძლიერება	ახალი	სექტემბერი 2014	მარტი 2015
8. ელექტრონული მამრთველობის დანერგვის მიზნით დამატებითი 4 მუნიციპალიტეტების შერჩევა	ახალი	დეკემბერი 2014	მარტი 2015
9. შერჩეული 4 მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა გადამზადება და მათი მხარდაჭერა ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროცესში	მიმდინარე	მარტი 2015	დეკემბერი 2015
10. თვითმმართველობის კომპეტენციებში არსებული დამატებითი მომსახურეგების შერჩევა, შესწავლა და მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში გათვალისწინება	მიმდინარე	მარტი 2015	მარტი 2015
ინდიკატორი	ელექტრონული მმართველობა დანერგილია 10 მუნიციპალიტეტში; სერვისების გაცემის შემცირებული ვადები;		

	ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართული მოსახლეობის გაზრდილი მაჩვენებელი.
რისკები და ვარაუდები	თვითმმართველობის რეფორმა, თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მუნიციპალიტეტში კადრების ცვლილება; მუნიციპალიტეტების მზაობის ნაკლებობა ელექტრონული მმართველობის დანერგვის კუთხით

ვალდებულება 6: რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით

ხელმისაწვდომობა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე ჯერ კიდევ მთელი საქართველოს მასშტაბით გამოწვევად რჩება. საქართველოს მთავრობა ინოვაციური პროექტებით ცდილობს გადალახოს ე.წ. „ციფრული დაყოფა“ და სერვისები და საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს რეგიონებში.

ეს ვალდებულება გულისხმობს საჯარო ბიბლიოთეკების გამოყენებას ახალი დანიშნულებით: ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად, ბიბლიოთეკები შეიძენს საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციებს. საზოგადოებრივ ცენტრებთან ერთად, ბიბლიოთეკები იქნება დამატებითი საშუალება, სოფლის მოსახლეობის და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად. გადამზადებული ბიბლიოთეკარები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, ახალი წიგნები) აღჭურვილ ბიბლიოთეკებში მომსახურებას გაუწევს საზოგადოებას.

პროექტი მიზნად ისახავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოსახლეობასა და ადგილობრივ მთავრობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდას, ბიბლიოთეკარების შესაძლებლობების ამაღლებას ელექტრონული მმართველობის და ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით რეგიონულ დონეზე.

2014 წელს განხორციელდება საპილოტე პროექტი 4 საჯარო ბიბლიოთეკაში. პილოტის შედეგების გათვალისწინებით მუშაობა გაგრძელდება 2015 წელს.

პასუხისმგებელი ორგანო: *სსიპ სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014*

ვალდებულება 6: რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით		
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
არსებული მდგომარეობა და პრობლემის		ადგილობრივი საჯარო ბიბლიოთეკების შეზღუდული

აღწერა	შესაძლებლობები, მოიზიდონ ვიზიტორები და ხელი შეუწყონ ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებას, რასაც თან ერთვის გაუმართავი ინფრასტრუქტურა, ლიტერატურა, რომელიც საჭიროებს განახლებას, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) უნარებისა და აღჭურვილობის არარსებობა		
მთავარი მიზანი	ბიბლიოთეკის ახლებური კონცეფციის შემუშავება, რომელიც ბიბლიოთეკის ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად, უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უფასო წვდომას ინფორმაციულ–ტექნოლოგიებზე და უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენას და განვითარებას.		
OGP გამოწვევა	საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა.		
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. საპილოტე ბიბლიოთეკების შერჩევა	მიმდინარე	დეკემბერი 2013	თებერვალი 2014
2. სარემონტო სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადება და სარემონტო სამუშაოების წარმოება	მიმდინარე	მაისი 2014	სექტემბერი 2014
3. ბიბლიოთეკებისთვის სათანადო ტექნიკისა და ავეჯის შესყიდვა	მიმდინარე	ივლისი 2014	სექტემბერი 2014
4. ტრენინგების ჩატარება ბიბლიოთეკარებისთვის საჯარო მომსახურების გაწევის სფეროში	მიმდინარე	ივნისი 2014	სექტემბერი 2014
5. ბიბლიოთეკების გახსნა და თვითმმართველობებისთვის საკუთრებაში გადაცემა	მიმდინარე	სექტემბერი 2014	სექტემბერი 2014
6. ბიბლიოთეკარების მიერ სერვისის მიწოდების მონიტორინგი	მიმდინარე	სექტემბერი 2014	დეკემბერი 2014
7. პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია	მიმდინარე	დეკემბერი 2014	დეკემბერი 2014
ინდიკატორი	განახლებული ბიბლიოთეკის სერვისებით მოსარგებლე ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა; განახლებული ლიტერატურით, ინფრასქტრუქტურით და მიღებული მომსახურებით კმაყოფილების დონის დასადგენად ბიბლიოთეკის მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები; ბიბლიოთეკარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა		
რისკები და ვარაუდები	ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა პროექტის განხორციელების პროცესში; სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურების დროში გახანგრძლივება და დადგენილი ვადების გადაცდენა		

ვალდებულება 7: ციფრული ხელმოწერა და ონლაინ ავთენტიფიკაცია

საქართველოში საიდენტიფიკაციო სერვისების განსავითარებლად სამოქმედო გეგმის ფარგლებში სსიპ სახელმწიფო სერვისების გავნითარების სააგენტო იმუშავებს ორი ძირითადი მიმართულებით:

1. **ონლაინ ავთენტიფიკაციის სისტემების** განვითარების ხელშეწყობა, პირადობის ელექტრონული მოწმობისა და მასში რეალიზებული უსაფრთხო ავთენტიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით.
2. **ციფრული ხელმოწერისა და შტამპის** განვითარება საქართველოში, რაც მიზნად ისახავს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების განვითარებას, ციფრული ხელმოწერის და ციფრული შტამპის (ციფრული ხელმოწერა ორგანიზაციის სახელით) მექანიზმების შექმნისა და დახვეწის გზით.

საიდენტიფიკაციო სერვისების განვითარება გაამარტივებს ორგანიზაციის შიდა პროცესებს, ქაღალდზე დაფუძნებული სამუშაოს შემცირების გზით, ასევე გააუმჯობესებს მოქალაქეთა მომსახურებას, მისცემს რა მათ საშუალებას სახლიდან გაუსვლელად განახორციელონ მნიშვნელოვანი ხელმოწერები.

ციფრული შტამპი ხელს შეუწყობს ორგანიზაციებს, უფრო ეფექტურად განახორციელონ სხვადასხვა დოკუმენტების (მაგ. უკვე შეთანხმებულ ხელშეკრულებების) ხელმოწერა და, მეორე მხრივ, შექმნის დამატებით სტიმულს პირადი ციფრული ხელმოწერების განვითარებისთვის, ვინაიდან დღესდღეობით ისეთი ხელშეკრულებების უმრავლესობაზე, რომელზეც მოქალაქე ხელს აწერს საკუთარი სახელით, როგორც ფიზიკური პირი, მეორე მხარეს წარმოადგენს ორგანიზაცია (შრომითი ხელშეკრულებები, საბანკო მომსახურება და ა.შ.). ხაზგასასმელია, რომ მსგავსი მომსახურების გაჩენაზე მოთხოვნა მისი მომხმარებლების (ბანკების, ნოტარიუსთა პალატის და ა.შ.) მხრიდან მოდის.

ინიციატივა ხელს შეუწყობს ელექტრონული სერვისების განვითარებას, საქმიან ურთიერთობებში ქაღალდის დოკუმენტების ელექტრონულით ჩანაცვლებას, პროცესების მეტ ეფექტურობას და გამჭვირვალობას.

პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება ოფიციალური დოკუმენტების (მაგ. დაბადების მოწმობა, ატესტატი, დიპლომი) ელექტრონული სახით გაცემა, რაც დაზოგავს როგორც ქაღალდის, ისე საბეჭდი აპარატურის შეძენა-მომსახურების ხარჯებს და გააუმჯობესებს მომსახურებას.

პასუხისმგებელი ორგანო: *სსიპ სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014 - 2015*

ვალდებულება 7: ციფრული ხელმოწერა და ონლაინ ავთენტიფიკაცია				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საიდენტიფიკაციო და ხელმოწერის სანდო მექანიზმების არარსებობა დისტანციურად მოქმედი მომხმარებლებისათვის (კომპანიები, მოქალაქეები); ქაღალდზე დაფუძნებული პროცესების და დაუცველი ელექტრონული სერვისების (ავთენტიფიკაციისა და ხელმოწერის გზით) სიმრავლე		
მთავარი მიზანი		ძლიერი, სანდო და უნივერსალური ავთენტიფიკაციის სისტემების განვითარება ონლაინ მომსახურებისთვის; ციფრული ხელმოწერისა და შტამპის განვითარება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში		
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	ID ბარათებზე ციფრული ხელმოწერის და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატების განახლების სისტემის გაშვება	ახალი	ივლისი 2014	ივლისი 2014
2.	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ID ბარათით ავთენტიფიკაციის დანერგვის ხელშეწყობა	ახალი	ივლისი 2014	ოქტომბერი 2014
3.	ციფრულად ხელმოწერილი დოკუმენტების არქივაციის სისტემების შექმნა	ახალი	დეკემბერი 2014	დეკემბერი 2014
4.	სააგენტოში მოქმედი სანდო სერვისების გამცემი ორგანოების (სერტიფიკაციის ცენტრი, დროის აღმნიშვნელი ორგანო) განვითარება	ახალი	ივლისი 2014	ოქტომბერი 2014
5.	ციფრული ხელმოწერის ფუნქციონალის დახვეწა	ახალი	მუდმივი აქტივობა	მუდმივი აქტივობა
6.	ციფრული შტამპის განვითარების მიზნით, საქართველოს კანონში ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ ცვლილებების შეტანა	ახალი	გაზაფხული 2014	დეკემბერი 2014
7.	სააგენტოს შიდა დოკუმენტბრუნვაში ციფრული შტამპის დანერგვის შესაძლებლობების იდენტიფიცირება	ახალი	ივნისი 2014	თებერვალი 2015

8. ციფრული შტამპით ხელმოწერილი დოკუმენტების გადამოწმების მექანიზმის შექმნა	ახალი	აგვისტო 2014	თებერვალი 2015
9. ციფრული შტამპის დანერგვა	ახალი	თებერვალი2015	ივლისი 2015
ინდიკატორი	იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებშიც დაინერგა ციფრული ხელმოწერა და/ან შტამპი; სააგენტოს შიგნით იმ დოკუმენტაციის ტიპების რაოდენობა, რომელზეც გამოიყენება ციფრული ხელმოწერა და/ან შტამპი		
რისკები და ვარაუდები	მომხმარებლების ინფორმირებულებულობის დაბალი დონე; ორგანიზაციების მხრიდან ინერტულობა ციფრული ხელმოწერის/შტამპის გამოყენების კუთხით		

ვალდებულება 8: ღია მონაცემების პორტალის შექმნა (DATA.GOV.GE)

ღია მონაცემების კონცეფციას განსაკუთრებული ადგილი უკავია, როგორც ღია მმართველობაში, ასევე ელექტრონული მთავრობის თანამედროვე მოდელებში. ღია მონაცემების პორტალი გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებების ღია მონაცემების (მონაცემები, რომელთა შეუზღუდავად წვდომა, გამოყენება და გავრცელება შესაძლებელია) საჯარო გამოქვეყნებას დამუშავებად, გამოთვლად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში, რაც ბიზნესს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს შეუფერხებლად ისარგებლონ ამ მონაცემებით, შექმნან აპლიკაციები და ელექტრონული სერვისები ამ მონაცემების გამოყენებით და მიიღონ სხვა სახის სარგებელი.

ამ დრომდე საქართველოში საჯარო ინფორმაცია და ღია მონაცემები გამოიყენება ძირითადად, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დანიშნულებით. გარდა ამ მნიშვნელოვანი მიზნისა, ღია მონაცემები ასევე უნდა ემსახურებოდეს ინოვაციის, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მიზნებს, სწორედ ამიტომ მუშაობა დაიწყო data.gov.ge-ს განახლებულ იდეაზე, რომელიც განსხვავებით დღეს არსებული ვებგვერდისგან, რომელიც ბმულების ერთობლიობას წარმოადგენს, იქნება ღია მონაცემების ვებგვერდი, რომლის კონცეფცია და იდეა იქნება მაგ: დიდ ბრიტანეთის (data.gov.uk) და ამერიკის (data.gov) ღია მონაცემების იდეის მსგავსი.

ამ ვებგვერდის სრულფასოვნად ჩამოყალიბებას სჭირდება უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა აქ თავი მოიყაროს მთავრობის მასშტაბით არსებულმა ღია მონაცემებმა და ამით ხელი შეეწყოს ინოვაციას და ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

მნიშვნელოვანია, რომ ღია მონაცემების პორტალზე ინფორმაციის გამოქვეყნებაში ჩართული იყოს ყველა სამთავრობო სტრუქტურა, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან. ღია მონაცემების პორტალები ბევრ ქვეყანაში იქცა საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის საუკეთესო მაგალითად.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014-2015*

ვალდებულება 8: ღია მონაცემების პორტალის შექმნა (data.gov.ge)				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებები ფლობენ დიდი ოდენობით ციფრულ მონაცემებს. ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული სახელმწიფო ორგანოებში არსებული ღია მონაცემები და არ ხდება მათი გამოქვეყნდება ერთიან პროტალზე. შექმნილია მხოლოდ ვებგვერდი, რომელიც რეალურად სანავიგაციო ვებგვერდია და არა ღია მონაცემების პორტალი.		
მთავარი მიზანი		ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა, დამატებითი ღირებულების ელექტრონული სერვისებისა და აპლიკაციების შექმნის ხელშეწყობა და ბიზნეს აქტივობების სტიმულირება. საჯარო სექტორის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა		
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	ადმინისტრაციული მექანიზმისა და შესაბამისი პროცედურების შექმნა, სამუშო ჯგუფის ჩამოყალიბება	ახალი	აგვისტო 2014	ოქტომბერი 2014
2.	მონაცემთა ფორმატების განსაზღვრა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება	ახალი	სექტემბერი 2014	დეკემბერი 2014
3.	უწყებებიდან მონაცემების შეგროვება	ახალი	ივნისი 2014	დეკემბერი 2015
4.	Data.gov.ge – განახლებული პორტალის ტესტირება და გაშვება	ახალი	სექტემბერი 2014	ოქტომბერი 2015
5.	ღია მონაცემების საფუძველზე პირველი "hackathon"-ის მომზადება და ჩატარება	ახალი	ნოემბერი 2014	დეკემბერი 2014
ინდიკატორები		პორტალი გაშვებულია და მასზე განთავსებულია ღია მონაცემები.		
რისკები და ვარაუდები		უწყებების მიერ ღია მონაცემების იდენტიფიცირებასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეები; შესაძლებელია		

	გართულდეს ოპტიმალური საკოორდინაციო მექანიზმის შემუშავება, რამაც იმოქმედოს ვადების შესრულებაზე.

გამოწვევა II: საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება

ვალდებულება 9: ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება

ღია და ანგარიშვალდებული მთავრობის მუშაობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობაა. საჭიროა, რომ ამ მხრივ კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ღიაობისა და ანაგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს, ამავე დროს პრაქტიკაში მისი იმპლემენტაცია არ უნდა იწვევდეს სახელმწიფო რესურსისა და შესაბამისად, გადასახადის გადამხდელელთა თანხის არაგონივრულ ხარჯვას.

სწორედ ამიტომ, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამჟამად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები გაბნეულია ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში, მნიშვნელოვანი სირთულეები გვხვდება კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაციისას. სპეციალური კანონის მიღება მიზნად ისახავს პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას, საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმების კონსოლიდირებას ერთ ნორმატიულ აქტში, რამაც თავის მხრივ, უნდა მოაწესრიგოს პრაქტიკა და დაეხმაროს როგორც მთავრობას, ისე არასამთავრობო სექტორსა და მთელ საზოგადოებას ღია და ანგარიშვალდებული, რაციონალური და ოპტიმალური სახელმწიფო აპარატის განვითარებაში. სპეციალური კანონი ხაზს გაუსვამს და გამოკვეთს მთავრობის ღიაობისა და საჯარო მმართველობის პოლიტიკას და გაამარტივებს პროფესიონალთა მუშაობას ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე.

კანონის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას გაუწევს იუსტიციის სამინისტრო. პროცესი წარიმართება არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვის მიზნით და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონსულტაციების საფუძველზე და საერთაშორისო ექსპერტიზის გამოყენებით შეიმუშავებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს. კანონპროექტის პირველი ვერსია შემუშავებული იქნება 2015 წლის გაზაფხულზე.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2015 წლის გაზაფხული*

ვალდებულება 9: ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ანტიკორუფციული საბჭო

პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	პარლამენტი
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	„ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ამჟამად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები გაბნეულია ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში. მიზანშეწონილია, შემუშავდეს სპეციალური კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. სპეციალური კანონის მიღება მიზნად ისახავს პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემებისა და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას, საჯარო ინფორმაციის მარეგულირებლი ნორმების კონსოლიდირებას ერთ ნორმატიულ აქტში.
მთავარი მიზანი		ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების დახვეწა. კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის არსებული განსხავებების აღმოფხვრა. ნათელი და კონკრეტული რეგულირებების შემუშავება.
OGP გამოწვევა		საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება საჯარო მომსახურების გაუმჯობესება
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა ✓
		ანგარიშვალდებულება ✓
		სამოქალაქო ჩართულობა ✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება
		დაწყების თარიღი
		დასრულების თარიღი
1. სამუშაო პროცესის დაგემვა, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პროცესზე შეთანხმება		
2. თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრები		
3. პირველადი პროექტის სამუშაო ჯგუფებისათვის წარდგენა		
4. ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები. (მოსამართლეები, ჟურნალისტები, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები)		
5. კანონპროექტის საერთაშორისო ექსპერტიზა		
6. კანონპროექტის ტექსტზე მუშაობა, კონსულტაციები, მუხლობრივი განხილვა, საბოლოო ტექსტზე შეთანხმება		
7. ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში შექმნილი თემატური სამუშაო ჯგუფებისათვის საბოლოო პროექტის წარდგენა		
8. კანონპროექტის წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის და		

პარლამენტისთვის			
ინდიკატორი	კანონპროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის		
რისკები და ვარაუდები	პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევასთან დაკავშირებული რისკები. შესაძლებელია დადგენილი ვადების მცირედი ცვლილება.		

ვალდებულება 10: ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი - ეროვნულ დონეზე ეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმი

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი მოქმედებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭო) ფარგლებში და ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმია, რომელიც მონაწილეობს სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და მისი შესრულების მონიტორინგში. ფორუმის წევრები არიან საჯარო დაწესებულებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. ფორუმი განახლებული სახით მუშაობს 2014 წლის 15 იანვრიდან და იკრიბება ყოველთვიურად სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ფორუმი განაგრძობს საქმიანობას გეგმის შესრულების მონიტორინგისა და ხელშეწყობის, საზოგადოების ინფორმირების კამპანიის წარმოების და სხვ. მიზნით.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) უზრუნველყოფს:

1. ფორუმის საქმიანობის კოორდინაციასა და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
2. ფორუმის დღის წესრიგისა და განსახილველი საკითხების განსაზღვრას;
3. ფორუმის შეხვედრის ოქმის მომზადებასა და ვებგვერდზე განთავსებას;
4. ანტიკორუფციული საბჭოსთვის წელიწადში ორჯერ ფორუმის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014 წლის იანვარი - სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის განმავლობაში*

ვალდებულება 10: ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მხარდაჭერა და კოორდინაცია		
წამყვანი დაწესებულება		ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებები, არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები და საჯარო დაწესებულებები
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები, ფორუმის თანამომხსენებელი არასამთავრობო სექტორის მხრიდან
არსებული მდგომარეობა და პრობლემის		2014 წლამდე ფორუმი არ იყო ძლიერი და წარმომადგენლობითი,

აღწერა	მისი ფუნქციები არ იყო ნათელი, შეხვედრები არ ატარებდა რეგულარულ ხასიათს, არ არსებობდა შესაბამისი რეგულაციები		
მთავარი მიზანი	OGP სახელმძღვანელო წესების შესაბამისი და ქმედითი საკოორდინაციო მექანიზმი ეროვნულ დონეზე		
OGP გამოწვევა	საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. ფორუმის შეხვედრების ორგანიზება ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს	მიმდინარე	15.01.2014	სამოქმედო გეგმის მოქმედების განმავლობაში
2.ფორუმის შეხვედრების ამსახველი დოკუმენტების მენეჯმენტი	მიმდინარე	15.01.2014	სამოქმედო გეგმის მოქმედების განმავლობაში
3.ანტიკორუფციული საბჭოსთვის ფორუმის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა			წელიწადში ორჯერ
ინდიკატორი	შეხვედრები იმართება რეგულარულად, ოქმები ქვეყნდება ვებგვერდზე.		
რისკები და ვარაუდები	ფორუმის წევრთა დაბალი აქტივობა. სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დასრულების შემდეგ შესაძლებელია ფორუმის შეხვედრები ნაკლები სიხშირით მაგ: 2 თვეში ერთხელ გაიმართოს.		

ვალდებულება 11: ელექტრონული პეტიციების პორტალის (ICHAGE.GE) შექმნა

პეტიციების ელექტრონული პლატფორმის I-change-ის (www.ichange.ge) დანერგვა გაზრდის საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ჩართულობას, ასევე მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭვირვალობას, გააადვილებს მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთდაახლოების პროცესს.

ელ-პეტიციების გამოყენებით შესაძლებელი იქნება მოქალაქის მიერ ელექტრონული პეტიციის ინიცირება. მთავრობის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე (საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ"), მოქალაქეების მიერ ინიცირებული წინადადებები საკმარისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში განიხილება მთავრობის სხდომაზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია უხელმძღვანელებს ინიციატივას და კოორდინაციას გაუწევს ამ საკითხზე მომუშავე სხვა უწყებების საქმიანობას. ყველა დაინტერესებული მხარის

ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად შეიკრიბება და განიხილავს ინიციატივის პროგრესს. სამუშაო ჯგუფი შედგება ისეთი უწყებების წარმომადგენლებისაგან, როგორიცაა: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურო, არასამთავრობო სექტორი, განვითარების პარტნიორები და სხვა.

ელექტრონული პლატფორმის I-change-ის ელექტრონული პეტიციების დანერგვა დასრულდება 2015 წელს.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია*

განხორციელების ვადა: *2014 -2015*

ვალდებულება 11: ელ-პეტიციების ელექტრონული პლატფორმის I-CHANGE-ის შექმნა				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	მონაცემთა გაცვლის სააგენტო; საქართველოს პარლამენტი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საჯარო სამსახურის ბიურო		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	IDFI; USAID G3		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ამჟამად არ არსებობს პირდაპირი საკომუნიკაციო ინსტრუმენტი საზოგადოებასა და მთავრობას შორის. ელ-პეტიციები საზოგადოებას საშუალებას მისცემს, მარტივად და ეფექტურად მიაწვდინოს ხმა საკუთარ მთავრობას.		
მთავარი მიზანი		საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ჩართულობის, ასევე მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა; მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთდაახლოების პროცესის ხელშეწყობა.		
OGP გამოწვევა		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	I-Change პორტალის საბოლოო კონცეფციის ჩამოყალიბება	ახალი	ივნისი 2014	შემოდგომა 2014
2.	I-Change პორტალის ტექნიკური მხარის შემუშავება	ახალი	შემოდგომა 2014	ზამთარი 2015
3.	I-Change პორტალის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფა	ახალი	ივნისი 2014	ზამთარი 2015
4.	I-Change ბექ ოფისის განვითარება	ახალი	ზამთარი 2014	გაზაფხული 2015
5.	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	ახალი	გაზაფხული 2015	ზაფხული 2015
6.	I-change-ის გაშვება	ახალი	გაზაფხული 2015	

ინდიკატორი	I-change-ის ელ-პეტიციები ამუშავებულია და ფუნქციონირებს
რისკები და ვარაუდები	სამუშაო ჯგუფების წევრების გადატვირთული რეჟიმის გამო შესაძლებელია ვალდებულების შესრულების ეტაპებისთვის დადგენილი ვადების ცვლილებები

ვალდებულება 12: საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი წესები

ეფექტიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურში მიღების ობიექტური სისტემა. მიღების პროცედურები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, დაცული უნდა იყოს დასაქმების მსურველის უფლებები და ამავე დროს, დამსაქმებელს ჰქონდეს მოქნილი და ეფექტიანი კონკუსის ჩატარების წესები.

საჯარო სამსახურში მიღების საკითხები არაერთხელ გადაისინჯა როგორც საჯარო სამსახურის შესახებ კანონში, ასევე კანონქვემდებარე აქტებში. მიუხედავად ამისა, მრავალი საკითხი ღიად არის დარჩენილი. მნიშვნელოვანია არსებობდეს ობიექტური კრიტერიუმები და ნათლად განსაზღვრული პროცედურა საჯარო სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით.

საჯარო სამსახურში მიღების სისტემის დახვეწის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს კოორდინაციას გაუწევს საჯარო სამსახურის ბიურო. პროცესი წარიმართება მაქსიმალურად გამჭვირვალედ. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვის მიზნით, შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო*

განხორციელების ვადა: *2014*

ვალდებულება 12: რეგულაციების ცვლილების შედეგად საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცესები		
წამყვანი დაწესებულება		სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სპეციალური სამუშაო ჯგუფი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	სამუშაო ჯგუფის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საჯარო სამსახურში მიღების საკითხებს აწესრიგებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, კონკურსის ჩატარების წესი განსაზღვრულია „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულებით. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამსახურში მიღების საკითხები არაერთხელ გადაიხედა, საჯარო სამსახურში მიღების პროცედურა საჭიროებს დახვეწას მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.
მთავარი მიზანი		საჯარო სამსახურში მიღების ერთიანი წესების განსაზღვრა, მიღების პროცედურების გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა,

	ვაკანტური პოზიციის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების უზრუნველყოფა, საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა უფლებების დაცვა.		
OGP გამოწვევა	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. საერთაშორისო ექსპერტის მიერ საჯარო სამსახურში მიღების სისტემის დახვეწასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება და აღნიშნულის საფუძველზე საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ კონკურსის ჩატარების წესის პროექტის მომზადება	ახალი		ივლისი 2014
2. ბიუროს მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად საჯარო სამსახურში მიღების წესების დამტკიცება	ახალი		შემოდგომა 2014
3. დასაქმების ელ. პორტალის - www.hr.gov.ge განვითარება და ახალი ფუნქციების დამატება	ახალი		შემოდგომა 2014
ინდიკატორი	საჯარო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესი მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ		
რისკები და ვარაუდები	განახლებული რეგულაციების იმპლემენტაციის პროცესში დადგენილი ვადების ცვლილება		

ვალდებულება 13: საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა

საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონული სისტემა დღეისთვის სრულფასოვნად ფუნქციონირებს. თუმცა, სისტემის სრულყოფის მიზნით, საჭიროა დაინერგოს დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმი. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი საერთაშორისო დონეზე კორუფციასთან ბრძოლის აპრობირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

მონიტორინგის სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას გაუწევს საჯარო სამსახურის ბიურო. პროცესი წარიმართება სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო*

განხორციელების ვადა: 2014-2015

ვალდებულება 13: საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	ანტიკორუფციული საბჭო; საქართველოს მთავრობა; საქართველოს პარლამენტი		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	მხარდამჭერი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GIZ		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონული სისტემა დღეისთვის სრულფასოვნად ფუნქციონირებს. თუმცა, სისტემის სრულყოფის მიზნით, საჭიროა დაინერგოს დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმი, რათა გაიზარდოს თანამდებობის პირთა ფინანსური ანგარიშვალდებულება და საზოგადოებას მიეწოდებოდეს ზუსტი ინფორმაცია		
მთავარი მიზანი		თანამდებობის პირთა ფინანსური ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა		
OGP გამოწვევა		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	საერთაშორისო ექსპერტის მიერ მონიტორინგთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება		12-14 მარტი 2014	31 მარტი 2014
2.	ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ კონკრეტული წინადადებების მომზადება და საჯარო განხილვა		მარტი 2014	მაისი 2014
3.	ბიუროს მიერ მომზადებული წინადადებების ანტი-კორუფციული საბჭოსთვის და მთავრობისთვის წარდგენა			ზაფხული 2014
4.	სისტემის შემუშავება და დანერგვისათვის საფუძვლების მომზადება			2015
ინდიკატორი		დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შესახებ ბიუროს მიერ მომზადებული წინადადებები წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის; მონიტორინგის მოდელზე შეთანხმება მიღწეულია. სისტემა შექმნილია.		
რისკები და ვარაუდები		ვალდებულების განხორციელების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხებისა და საჯარო სამსახურის რეფორმის		

	მიმდინარეობის პროცესში ბიუროს აქტიური როლის გამო, შესაძლებელია ვალდებულების შესრულების ეტაპებისთვის დადგენილი ვადების ცვლილებები. კონკრეტულ მოდელზე პოლიტიკური შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებული სირთულეები.

ვალდებულება 14: პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში

საჯარო ფინანსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების ხელმისაწვდომობა. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების შესახებ ფინანსური ინფორმაციების გამოქვეყნების ვალდებულებას, რაც პრაქტიკაში იმპლემენტირებულია, თუმცა ღია მმართველობის პარტნიორობის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმის რეკომენდაციით, მიზანშეწონილია ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში.

სწორედ ამიტომ, პოლიტიკური ფინანსების მაქსიმალური საჯაროობის მიზნით საჭიროა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე პარტიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები და დამუშავებული სტატისტიკები გამოქვეყნდეს დამუშავებად ფორმატში (Excel-ის ცხრილები).

პასუხისმგებელი უწყება: *სახელმწიფო აუდიტის სამსახური*

განხორციელების ვადა: *2014*

ვალდებულება 14: პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში				
წამყვანი დაწესებულება		სახელმწიფო აუდიტის სამსახური		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ფინანსური ანგარიშები ქვეყნდება მხოლოდ დასკანერებულ ფორმატში		
მთავარი მიზანი		პოლიტიკური პარტიების ფინანსების გამჭვირვალობა		
OGP გამოწვევა		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან	დაწყების თარიღი	დასრულების

	არსებული ვალდებულება		თარიღი
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდის ფინანსური მონიტორინგის განყოფილების მომზადება მეტი გამჭვირვალობის მიზნით	ახალი	მარტი 2014	მაისი 2014
2. ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში	ახალი		აგვისტო 2014
3. პოლიტიკური პარტიების შემოსავლების, ხარჯების ჯამებისა და სტატისტიკების გამოქვეყნება	ახალი		სექტემბერი 2014
ინდიკატორი	პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოდგენილი ინფორმაცია გამოქვეყნებულია დამუშავებად ფორმატში		
რისკები და ვარაუდები	პარტიებს გააჩნიათ ვალდებულება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ოფიციალური წერილით წარმოადგინონ სხვადასხვა ინფორმაცია, რომელიც ვებგვერდზე განთავსების მიზნით ასევე იქნება სავალდებულო წარმოადგინონ ექსელის ფორმატში ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აღნიშნულის ტექნიკური უზრუნველყოფა შესაძლებელია გაიწელოს დროში		

ვალდებულება 15: ონლაინ საჯარო კონსულტაციის მექანიზმის დანერგვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ–გვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს ვალდებულება ემსახურება საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფას, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, და სამინისტროს მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამჟამად, შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის, კერძოდ უსინათლოთათვის, შსს–ს ინფორმაცია სამინისტროს ვებგვერდის www.police.ge მეშვეობით სრულად ხელმისაწვდომი არ არის. შსს-ს აქვს კომუნიკაცია საზოგადოებასთან ელექტრონული ფოსტისა და ფეისბუქის მეშვეობით. უწყების მიზანია კიდევ უფრო განავითაროს საზოგადოებასთან ურთიერთობა და ამ მიზნით, განათავსოს ლაივ-ჩათები შსს-ს ვებგვერდზე.

ვალდებულების ფარგლებში შსს–ს ვებგვერდი ხელმისაწვდომი გახდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, დაინერგება ონლაინ–კონსულტაციების მექანიზმი. შსს–ს ვებგვერდზე განთავსებული ონლაინ–კონსულტაციისთვის „ლაივ–ჩათის“ აპლიკაციის მეშვეობით მოქალაქე შეძლებს დაუკავშირდეს შსს–ს თანამშრომელს შეკითხვით თუ რეკომენდაციით შსს-ს კომპეტენციას მიკუთვნებულ თემაზე.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო*

განხორციელების ვადა: 2014

ვალდებულება 15: ონლაინ საჯარო კონსულტაციის მექანიზმის განვითარება და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
წამყვანი დაწესებულება		შინაგან საქმეთა სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ამ ეტაპზე შსს-ს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია სრულად არ არის ხელმისაწვდომი. სამინისტროს ამჟამად აქვს აქტიური კომუნიკაცია საზოგადოებასთან, თუმცა არა ონლაინ–კონსულტაციის ფორმატით		
მთავარი მიზანი		შსს-ს კომპეტენციასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა		
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, პროგრამისტების მიერ შსს–ს ვებგვერდის ადაპტირების სამუშაოების განხორციელება		მაისი, 2014	დეკემბერი 2014
2.	შსს-ს ვებგვერდის ადმინისტრატორებთან და პროგრამისტებთან ერთად ონლაინ–კონსულტაციისა და გამოკითხვის დანერგის სამუშაოების განხორციელება		აპრილი 2014	სექტემბერი 2014
3.	ონლაინ–კონსულტაციის და გამოკითხვების დანერგვისთვის ტექნიკური მხარისა და ინფორმაციული ბაზის მომზადება		აპრილი 2014	სექტემბერი 2014
4.	გამოკითხვების წარმოებისთვის საორგანიზაციო და ფოკუს–ჯგუფებთან შეხვედრები, კონსულტაციები		აპრილი 2014	აპრილი 2014
5.	ზემოთ ჩამოთვლილი შესრულებული პროექტების ამოქმედება			დეკემბერი 2014

ინდიკატორი	შსს–ს ვებგვერდი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ამავე ვებგვერდზე განთავსებულია ონლაინ–კონსულტაციის აპლიკაცია და დანერგილია გამოკითხვის სისტემა.
რისკები და ვარაუდები	შესაძლებელია, მუშაობის პროცესში გაჩნდეს ტექნიკური ან პროგრამასთან დაკავშირებული პრობლემები, რამაც ხელი შეუშალოს პროექტების განხორციელებას; გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვალდებულების შესრულების ეტაპებისთვის დადგენილი ვადების ცვლილებები

ვალდებულება 16: ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება

ფარული მიყურადების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფის შესახებ 2013 წლის 17 დეკემბერს მსოფლიოს 100-ზე მეტი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა რეკომენდაციებით მიმართა OGP-ის წევრ ქვეყნებს. ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას პროცესში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთ-ერთი რეკომენდაცია მიყურადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიული საჯაროობის უზრუნველყოფას ეხებოდა.

საქართველოს მთავრობა იზიარებს სამოქალაქო საზოგადოების პოზიციას მიყურადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების საჭიროების შესახებ. სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გამჭვირვალობისა და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, 2014 წლიდან სასამართლო აწარმოებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაზე შუამდგომლობების განხილვის სტატისტიკას, თუმცა მონაცემები გეგმის შემუშავების ეტაპისთვის პროაქტიულად არ ქვეყნდება.

ვინაიდან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით არის შესაძლებელი, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა აწარმოოს სტატისტიკა და გამოაქვეყნოს იგი პროაქტიულად.

2014 წლის სექტემბრიდან საქართველოს უზენაესი სასამართლო გამოაქვეყნებს მიყურადების შესახებ კვარტალურ სტატისტიკას, 2015 წლიდან კი უზრუნველყოფს წლიური სტატისტიკის გამოქვეყნებას.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს უზენაესი სასამართლო*

განხორციელების ვადა: *2014-2015*

ვალდებულება 16: ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება	
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს უზენაესი სასამართლო

პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ამჟამად, უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე (http://www.supremecourt.ge) ფარული მიყურადების შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ ქვეყნდება.		
მთავარი მიზანი		გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ფარულ მიყურადებაზე შუამდგომლობების განხილვის შესახებ სასამართლო სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება		
OGP გამოწვევა		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	კვარტლური სტატისტიკის გამოქვეყნება	ახალი	01.09.2014	20.09.2014
2.	წლიური სტატისტიკის გამოქვეყნება	ახალი	01.01.2015	20.01.2015
ინდიკატორი		სტატისტიკა ქვეყნდება უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე		
რისკები და ვარაუდები				

ვალდებულება 17: საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

არჩევნებში, რომელიც ღია მმართველობის ქვაკუთხედი და ერთ–ერთი წინაპირობაა, საზოგადოების აქტიური მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, აუცილებელია თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს ინფორმაცია საარჩევნო პროცესისა და ამ პროცესში მათი უფლება–მოვალეობების შესახებ. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა სასწავლო პროგრამისა და ტრენინგის, ასევე ლიტერატურის გავრცელების გზით.

ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი) განახორციელებს სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო ღონისძიებებს ამომრჩეველთა კორპუსისა და არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია*

განხორციელების ვადა : *2014*

ვალდებულება 17: საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ სწავლების ცენტრი, ცესკო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია და სხვა დაინტერესებული საჯარო დაწესებულებები		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		არჩევნებში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცოდნისა და ინფორმაციის უკმარისობა იწვევს ამომრჩევლების დაბალ აქტივობას, ქმნის არჩევნებისადმი მოქალაქეთა გულგრილ დამოკიდებულებას, რაც თავისთავად ვერ უზრუნველყოფს წარმატებულ საარჩევნო პროცესს. არჩევნების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ცესკო და სწავლების ცენტრი შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის სასწავლო პროგრამებსა და საინფორმაციო ხასიათის სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებს.		
მთავარი მიზანი		საარჩევნო ცნობიერების ამაღლება		
OGP გამოწვევა		საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ამაღლება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓		✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში		სექტემბერი 2014	დეკემბერი 2015
2.	საინფორმაციო / საგანმანათლებლო პროექტები ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის		ოქტომბერი 2014	მაისი 2015
3.	საინფორმაციო / საგანმანათლებლო პროექტები არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის		აპრილი 2015	ოქტომბერი 2015
4.	პროექტის დაგეგმვა არჩევნებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის საკითხებზე		მაისი 2015	ნოემბერი 2015
5.	საგრანტო კონკურსების ორგანიზება საზოგადოებაში საარჩევნო კულტურის ამაღლებისა და ზოგადად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების		სექტემბერი 2014	ოქტომბერი 2015

ხელშეწყობის მიზნით			
ინდიკატორი	ინფორმირებული საზოგადოება; არჩევნებში საზოგადოების აქტიური ჩართულობა		
რისკები და ვარაუდები	ცესკოს მიერ 2015 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების პირობებში შესაძლებელია ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილი ვადების ცვლილება		

გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

ვალდებულება 18: საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება

ღია და ანგარიშვალდებული მთავრობის მუშაობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფაა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა საბიუჯეტო პროცესი. საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირებულობა ბიუჯეტის მომზადების პროცესში და მისი ინფორმირება ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კომპონენტია საჯარო ფინანსების ეფექტური და ეფექტიანი მართვისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ერთ-ერთი პრინციპია გამჭვირვალობა. ამჟამად საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის, დამტკიცებული ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, ასევე ხდება აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება სხვადასხვა პრეზენტაციების და მათი სხვადასხვა ვებგვერდზე განთავსების გზით, თუმცა არ არსებობს ფორმალიზებული სქემა ამ პროცესების სამართავად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კოორდინაციით, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა კონკრეტული ღონისძიებების ნუსხა და სქემა, თუ რა სახით მოხდება საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოებისათვის მიწოდება და ამ პროცესში სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014-2015*

ვალდებულება 18: საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობა		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	საერთაშორისო ორგანიზაციები, ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ამჟამად საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის, დამტკიცებული ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, ასევე ხორციელდება აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება სხვადასხვა პრეზენტაციების და მათი ვებ-გვერდებზე განთავსების გზით, თუმცა არ არსებობს ფორმალიზებული სქემა ამ პროცესების მართვისათვის.		
მთავარი მიზანი		საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება		
OGP გამოწვევა		საჯარო რესურსების უკეთესი მართვა		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის საჯაროობის უზრუნველყოფა		მიმდინარე	მუდმივი პროცესი	მუდმივი პროცესი
2. საბიუჯეტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოებისათვის ინტერაქტიული კითხვარების შეთავაზება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავი დაწესებულებების ვებ-გვერდების მეშვეობით		ახალი	ივლისი 2014	დეკემბერი 2015
3. ბიუჯეტის კანონპროექტის, კანონის და შესრულების ანგარიშის თაობაზე ინფორმაციული პრეზენტაციების მომზადება და განთავსება		ახალი	სექტემბერი 2014	დეკემბერი 2015
ინდიკატორი		არსებობს კონკრეტული სქემა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირება		
რისკები და ვარაუდები		კომპლექსური საბიუჯეტო პროცესიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის მარტივად აღსაქმელი სქემის შემუშავებათან დაკავშირებული სირთულეები		

ვალდებულება 19: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება - „ყველა ყველაფერს ხედავს“

ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გაფართოებას მასში კონკურსის ელექტრონული მოდულის ინტეგრირების გზით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობა.

დღეს არსებული წესის შესაბამისად, კონკურსი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული სახეა (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვას) ცხადდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე http://contest.procurement.gov.ge. კონკურსის ჩატარება არ არის სრულად ავტომატიზებული, როგორც ეს ტენდერების შემთხვევაშია. კონკურსი ტარდება შემსყიდველ ორგანიზაციაში, ხოლო კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ეგზავნება სააგენტოს, რომელიც მათ აქვეყნებს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დღეს არსებული მეთოდი ვერ უზრუნველყოფს გამჭირვალობისა და საჯაროობის ისეთ ხარისხს, როგორიცაა ტენდერების შემთხვევაში. კონკურსის ჩატარებისას შემსყიდველი ორგანიზაცია სარგებლობს ფართო ავტონომიით. ასევე, არ ხდება საკონკურო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება დავების განხილვის საბჭოში.

კონკურსის ელექტრონული მოდულის დანერგვის შედეგად, მიმწოდებლებს ექნებათ შესაძლებლობა კონკურსში მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, როგორც ტენდერის შემთხვევაში. კონკურსების სისტემაში დანერგვა მოხსნის გეოგრაფიულ ფაქტორს და გაამარტივებს კონკურსში მონაწილეობას. კონკურსის სისტემაში ინტეგრირების შედეგად უკვე შესაძლებელი იქნება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება დავების განხილვის საბჭოში, რაც უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილე მიმწოდებელთა უფლებების სწრაფ და ეფექტურ დაცვას. კონკურსების სისტემაში ინტეგრირება კონკურსის ჩატარების პროცესს გახდის გამჭვირვალეს და საჯაროს, რაც პირდაპირ პასუხობს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპებს და უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობას.

პასუხისმგებელი უწყება: *სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო*

განხორციელების ვადა: *2014- 2015*

ვალდებულება 19: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება - „ყველა ყველაფერს ხედავს“		
წამყვანი დაწესებულება		სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		კონკურსის ჩატარება არ არის სრულად ავტომატიზებული. კონკურსის ჩატარებისას შემსყიდველი ორგანიზაციები სარგებლობენ ფართო ავტონომიით. არ ხდება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება დავების განხილვის საბჭოში.

მთავარი მიზანი	კონკურსის ელექტრონული მოდულის დანერგვა		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება	საჯარო მომსახურების გაუმჯობესება		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. პროგრამული უზრუნველყოფა	არსებული	ივნისი 2014	დეკემბერი 2014
2. სამართლებრივი მოწესრიგება - შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შემუშავება და მიღება	ახალი		თებერვალი 2015
3. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	ახალი	მარტი 2015	მაისი 2015
ინდიკატორი	კონკურსი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში		
რისკები და ვარაუდები	სისტემის მომხმარებლებს უჭირთ ადაპტაცია კონკურსის ახალ ელექტრონულ მოდულთან.		

ვალდებულება 20: საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება

საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარების ფონზე საქართველოს საჯარო სამსახურში ელექტრონული მმართველობის დანერგვა–განვითარება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა e-HMRS ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული პერსონალის ერთიანი მონაცემთა ბაზაა. მისი მიზანია ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა შემუშავებული პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად. e-HMRS არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის უწყებებისა და ორგანიზაციების პერსონალის მართვის ფუნქციის ახალ საფეხურზე გადაყვანას.

პროგრამა საჯარო სამსახურის ბიუროსა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოებს, სისტემაში არსებული ვითარების შესახებ ზუსტი ინფორმაციის ოპერატიული მიღების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის დახვეწის და ამ მონაცემებით ოპერირების შესაძლებლობას მიანიჭებს. მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული ელექტრონული პროგრამა მკვეთრად შეამცირებს მატერიალურ, დროისა და ადამიანური რესურსების დანახარჯებს.

სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას გაუწევს საჯარო სამსახურის ბიურო. პროცესი წარიმართება სამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო*

განხორციელების ვადა: *2014-2015*

ვალდებულება 20: ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა საჯარო სამსახურში				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს საჯარო დაწესებულებებს შორის ადამიანური რესურსების მართვის საკითხები არაერთგვაროვნად არის განვითარებული სხვადასხვა უწყებებში. საჯარო სამსახურის ბიუროსა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოებს არ აქვთ საშუალება მიიღონ ზუსტი და დროული ინფორმაცია საჯარო მოსამსახურეების შესახებ. შესაბამისად, აუცილებელია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის დახვეწა, საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვით.		
მთავარი მიზანი		ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის დახვეწა		
OGP გამოწვევა		საჯარო რესურსების უკეთესი მართვა		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	სისტემის შემუშავების და დანერგვის საკითხთან დაკავშირებით მთავრობის ახალი დადგენილების მიღება/არსებულში ცვლილებების შეტანა		იანვარი 2014	გაზაფხული 2014
2.	ადამიანური რესურსების მართვის ელ. სისტემის დანერგვა ცენტრალურ დაწესებულებებში		მარტი 2014	გაზაფხული 2015
3.	ადამიანური რესურსების მართვის ელ. სისტემის დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში			დეკემბერი 2015
ინდიკატორი		საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა		
რისკები და ვარაუდები		ჩართული მხარეების სიმრავლიდან გამომდინარე, შესაძლებელია შესრულების ეტაპებისთვის დადგენილი ვადების ცვლილებები		

ვალდებულება 21: ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა

დღეისათვის, საქართველოში არ არსებობს ელექტრონული არქივის სისტემა, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ელექტრონულად დაბადებული დოკუმენტების ხანგრძლივად შენახვის პროცესში. ელექტრონული არქივი - ციფრული მონაცემების შენახვის ელექტრონული გადაწყვეტა შექმნის ციფრული მონაცემების ხანგრძლივი შენახვის

შესაძლებლობას, მათ ავთენტურ ელ-ხელმისაწვდომობასა და გამოყენებადობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას.

ელექტრონული არქივის პროექტი არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი საქართველოს ელ-მმართველობის სისტემაში. ის საშუალებას მოგვცემს ხანგრძლივი პერიოდით, ტექნოლოგიებისგან ნეიტრალური სახით, საიმედოდ შევინახოთ ელექტრონული დოკუმენტი და ეფექტურად, ინტერნეტის საშუალებით, ვუზრუნველყოთ ყველა დაინტერესებული მხარისთვის მასზე წვდომა.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ საქართველოს ეროვნული აქრივი, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014-2015*

ვალდებულება 21: ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა				
წამყვანი დაწესებულება		სსიპ საქართველოს ეროვნული აქრივი, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები.		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარებამ სახელმწიფო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის განთავსება და დამუშავება ხდება ელექტრონული ფაილების საშუალებით, საჯარო ინფორმაციის უფრო და უფრო მზარდი ნაწილია განთავსებული ვებ-საიტებზე; გაჩნდა ელექტრონულად დაბადებული დოკუმენტის ცნება და სახელმწიფო დაწესებულებები აქტიურად იყენებენ საქმისწარმოების საინფორმაციო სისტემებს, რომელშიც ყველა ოფიციალური დოკუმენტი ელექტრონულ ფორმატშია, არსებობს ელექტრონულად და ციფრულად ხელმოწერილი დოკუმენტები. მოცემული გარემოებები სახელმწიფო დაწესებულებებს ელექტრონული დოკუმენტების და ციფრული მონაცემების ხანგრძლივად შენახვის საჭიროების წინაშე აყენებს.		
მთავარი მიზანი		ხანგრძლივი ციფრული შენახვის მიზანს წარმოადგენს ციფრული ობიექტების ავთენტური ელ-ხელმისაწვდომობისა და გამოყენებადობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნება.		
OGP გამოწვევა		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	სისტემის ფუნქციონალური მოთხოვნების ჩამოყალიბება	ახალი	მაისი 2014	დეკემბერი 2014
2.	სისტემის ტექიკური მოთხოვნების	ახალი	სექტემბერი 2014	2014

ჩამოყალიბება			
3. ნორმატიული ბაზის მომზადება	ახალი	დეკემბერი 2014	დეკემბერი 2015
ინდიკატორი	ელ. არქივის ფუნქციონალი და ქეტმოთხოვნები შექმნილია; გამართულია ნორმატიული ბაზა.		
რისკები და ვარაუდები	უწყებათაშორისი კოორდინაციის საჭიროების გათვალისწინებით შეიძლება შეიცვალოს პროექტის განხორციელების ვადები.		

ვალდებულება 22: ეროვნული არქივის გამჭვირვალობა და საარქივო ფონდის ხელმისაწვდომობის გაზრდა

არქივების ღიაობა და საარქივო ფონდთან შეუფერხებელი წვდომა მთავრობათა ღიაობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია IX საუკუნიდან დღემდე შექმნილი უნიკალური ისტორიული მასალა, რომელზეც შეუზღუდავი წვდომა მკვლევართათვის, თუ ზოგადად მოქალაქისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ამჟამად, სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული არქივების მომსახურება ფასიანია. ხელმისაწვდომია მხოლოდ დოკუმენტების დედნები, რაც, ხშირი გამოყენების პირობებში, იწვევს დოკუმენტების დაზიანებას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის თაოსნობით შეისწავლის და გადასინჯავს ნორმატიულ ბაზას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არქივების მეტი გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა. უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები, მკვლევარებს შესაძლებლობა ექნებათ, იმუშაონ საარქივო დოკუმენტებზე შეუზღუდავად. არ მოხდება დოკუმენტების დედნების ყოველდღიური გაცემა, რაც უზრუნველყოფს მათ მეტ დაცულობას.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014 -2015*

ვალდებულება 22: ეროვნული არქივის დოკუმენტების ხელმისაწვდომობა			
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს ეროვნული არქივი, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი	
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები	
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ამჟამად, დოკუმენტებზე წვდომა ფასიანია და გაიცემა მხოლოდ დოკუმენტების დედნები, რაც იწვევს დოკუმენტების დაზიანებას	
მთავარი მიზანი		მკვლევართათვის დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; დოკუმენტების დედნების დაცვის პირობების გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა	
OGP გამოწვევა		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება	
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა

	✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვის მიზნით კონსულტაციები და წინადადებების მომზადება	ახალი	ივლისი, 2014	2014
2. ნორმატიული ბაზის მომზადება	ახალი	იანვარი 2014	2015
3. დოკუმენტების ელ. ვერსიების გაცემისთვის შესაბამისი აღჭურვილობის უზრუნველყოფა	ახალი		2015
ინდიკატორი	ნორმატიული ბაზა გადასინჯულია; საარქივო დოკუმენტაციის ელ. ვერსიებზე წვდომა უზრუნველყოფილია.		
რისკები და ვარაუდები	უწყებათაშორის კოორდინაციასთან დაკავშირებული სირთულეები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დადგენილ ვადებში ცვლილებების შეტანა.		

ვალდებულება 23: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, რომელიც მოიცავს ყოფილი უშიშროების კომიტეტისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოების არქივებს, საბჭოთა პერიოდშიც და შემდგომაც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე რთულად ხელმისაწვდომ დაწესებულებას. ვინაიდან არქივში დაცულია უნიკალური ისტორიული ინფორმაცია, რაც მოიცავს საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ყველა ასპექტს, ამ არქივისადმი არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ხორციელდება დოკუმენტების დიგიტალიზაციისა და მონაცემთა ბაზების ფორმირების პერმანენტული პროცესი, დღევანდელი მდგომარეობით არქივში დაცული დოკუმენტები ჯერჯერობით სრულად არ არის სორტირებული თანამედროვე კატალოგიზაციის სისტემით და ზოგიერთი ფონდის აღწერილობა და რეესტრი საკმაოდ ზოგადი შინაარსისაა, რაც დაინტერესებულ პირთათვის გარკვეულად ართულებს დოკუმენტებთან კომფორტულ წვდომას.

ყოფილ უშიშროების არქივში დაცული მასალების მაღალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი უზრუნველყოფს ყოფილი უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნასა (შესაბამისი აღწერილობით) და კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში გამოქვეყნებას.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი*

განხორციელების ვადა: *2014 - 2015*

ვალდებულება 23: სახელმწიფო არქივების გამჭვირვალობა				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ისტორიული ინფორმაცია სრულად არ არის სორტირებული თანამედროვე კატალოგიზაციის სისტემით; რამდენიმე ფონდის აღწერილობა და რეესტრი საკმაოდ ზოგადი შინაარსისაა, რაც ართულებს დაინტერესებულ პირთა წვდომას არქივში დაცულ მასალებთან.		
მთავარი მიზანი		ყოფილი უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ხარისხის ეტაპობრივი გაზრდა		
OGP გამოწვევა		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო მომსახურების გაუმჯობესება		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა
		✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.	ყოფილი უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის დამუშავება	ახალი	2014	2015
2.	კატალოგის გამოქვეყნება არქივის ვებგვერდზე	ახალი	2014	2015
ინდიკატორი		უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი ეტაპობრივად შემუშავებულია; კანონით დადგენილი წესით განხორციელებულია ახლად გადამუშავებული და დიგიტალიზირებული კატალოგების ეტაპობრივი განსაჯაროება		
რისკები და ვარაუდები		შესასრულებელ სამუშაოთა მასშტაბურობიდან გამომდინარე, დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდეს დეტალური კატალოგის სრული მოცულობით დიგიტალიზაცია		

ვალდებულება 24: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სერვისების ინტენსიური განვითარების ფონზე საქართველოს საჯარო სამსახურში ელექტრონული მმართველობის დანერგვა-განვითარება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ასევე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიის განხორციელება, რომლის მიზანია მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების განსახორციელებლად სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი განაწილება და ამავდროულად, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემოსავლების მობილიზება. ამ სტრატეგიით გათვალისწინებულია საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო

სისტემის პრიორიტეტული განვითარება. ამით ხელი შეეწყობა ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის კომპონენტების შექმნასა და შემდგომ განვითარებას.

საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შემდგომი სრულყოფა-განვითარება გულისხმობს, მათ შორის:

- სახელმწიფო ხაზინის მართვის ელექტრონული სისტემის - eTreasury შემდგომი სრულყოფა და ფართომასშტაბიანი დანერგვა ქვეყნის ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაციაში, სსიპ-ებში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამ სისტემის მეშვეობით ქვეყანაში გადახდების განხორციელების უზრუნველყოფა მოხდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით.
- ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის - eBudget შემდგომი სრულყოფა და ფართომასშტაბიანი დანერგვა ქვეყნის ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაციაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩათვლით.
- სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - eDMS წარმოადგენს სახელმწიფო საშინაო ვალისა და სესხის მართვის ავტომატიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების კრებულს. მისი დანიშნულებაა ერთ ადგილას მოუყაროს თავი სახელმწიფო სესხზე, ვალზე და გრანტებზე არსებულ ყველა სახის მონაცემებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება სანდო და სრული ფინანსური ინფორმაციის მიღება.
- eAuction.ge წარმოადგენს ელექტრონული ყიდვა-გაყიდვის უნიკალურ სისტემას საქართველოში, რომელიც პირველ რიგში შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკური სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინიციატივით იმისათვის, რომ მომხდარიყო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ან მიქცეული ქონების განკარგვა აუქციონის წესით. 2010 წლის მარტიდან აღნიშნული წესით ხდება უძრავი თუ მოძრავი ქონების გასხვისება კანონის შესაბამისად. დღეისათვის ნებისმიერს შეუძლია სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, მისთვის კომფორტულ გარემოში, შეიძინოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული ქონება. სახლიდან გაუსვლელად ან ოფისიდან ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია განათავსოს საკუთარი ქონება გასაყიდად და ასევე ივაჭროს სასურველ ლოტზე.

პასუხისმგებელი უწყება: *სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

განხორციელების ვადა: *2014-2015*

ვალდებულება 24: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა		
წამყვანი დაწესებულება		სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ფინანსთა სამინისტროს სსიპ

		მომსახურების სააგენტო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორების ადმინისტრაციები
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სერვისების ინტენსიური განვითარების ფონზე მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მუდმივი განვითარება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობასა და ელექტრონული მთავრობის კომპონენტის გაძლიერებას.
მთავარი მიზანი		სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი განაწილება და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემოსავლების მობილიზება; საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის პრიორიტეტული განვითარება.
OGP გამოწვევა		საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.

OGP პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემის მოდერნიზება	მიმდინარე	2014	2016
2. ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მოდერნიზება	მიმდინარე	2014	2016
3. სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვა ფინანსთა სამინისტროში	მიმდინარე	2014	2015
4. ელექტრონული აუქციონის სისტემის ფართომასშტაბიანი გამოყენება	მიმდინარე	2014	2015
ინდიკატორი	eTreasury სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა; eBudget სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა; eDMS სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა; eAuction სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა; სამსახურის ცხელ ხაზზე 1551 შემოსული საპრეტენზიო ზარების რაოდენობის დინამიკა; სისტემების იმპლემენტაციისას ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა		
რისკები და ვარაუდები	ჩართული მხარეების სიმრავლიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვალდებულების შესრულების ეტაპებისთვის დადგენილ ვადებში ცვლილებები; იმპლემენტაციის პროცესში ჩართულ საჯარო მოსამსახურეთა შესაძლო დაბალი კომპეტენციის დონე; მთელი ქვეყნის მასშტაბით, კასკადური ტიპის ტრენინგების ჩატარებისას წარმოშობილი სირთულეები; ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნის და ტესტირების შესაძლო სიძნელეები; ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაციის შესაძლო სიძნელეები; შესაძლო ლოგისტიკური სიძნელეები		

გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა

ვალდებულება 25: 112-თან დაკავშირების ალტერნატიულ არხების შექმნა

უსაფრთხო გარემოს შექმნის გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ - ქვეყნის მასშტაბით მოქმედი გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი, დანერგავს 112-თან დაკავშირების ალტერნატიულ და ინოვაციურ არხებს, რათა საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ თითოეულ პირს (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს), საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეს 112-თან ოპერატიული წვდომის შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრთან დაკავშირება შესაძლებელი იყოს არა მხოლოდ ტელეფონით, რომლის გამოყენების შესაძლებლობა ყოველთვის არ არის, არამედ სხვა არხებით.

2014 წლის ბოლოსთვის, ცენტრი ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა ალტერნატიული არხებით, მათ შორის ა) სატელეფონო კავშირი; ბ) სხვადასხვა ობიექტზე დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო ან მხუთავი აირის დეტექტორი, რომელიც ობიექტზე საფრთხის წარმოქმნისთანავე განგაშის სიგნალს ავტომატურად, ფიზიკური პირის ჩარევისგან დამოუკიდებლად გაგზავნის 112-ში; გ) 112-თან დაკავშირება მოკლეტექსტური შეტყობინებების (SMS) ან ვიდეო ზარის მეშვეობით. დაკავშირების ეს არხი განკუთვნილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რომელთაც აქვთ მეტყველების ან სმენის პრობლემა; დ) GPS ტრეკერი, სატელიტური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც პირი 112-ში გაგზავნის განგაშის სიგნალს, მაშინაც, თუ პირი გასულია მობილური ოპერატორების მომსახურების ზონიდან. ამასთან, აღნიშნული მოწყობილობა, იძლევა შესაძლებლობას, პირისთვის გადაუდებელი დახმარების მყისიერად აღმოჩენის მიზნით, მოხდეს მისი ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა), უმოკლეს დროში, მიიღოს საჭირო გადაუდებელი დახმარება.

პასუხისმგებელი უწყება: *შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „112“*

განხორციელების ვადა: *2014*

ვალდებულება 25: „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა		
წამყვანი დაწესებულება		სსიპ „112“, შინაგან საქმეთა სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი (GPS ტრეკერების კუთხით); UNDP (SMS და ვიდეო ზარი)
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეისათვის არ არსებობს „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხები, გარდა სატელეფონო კავშირისა
მთავარი მიზანი		საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ თითოეულ პირს ჰქონდეს

	გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან დაკავშირების რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა		
OGP გამოწვევა	უსაფრთხო გარემოს შექმნა (გადაუდებელი დახმარების მიღების მოქნილი სისტემა და ოპერატიულობა)		
OGP პრინციპები	გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
	✓	✓	✓
განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1. GPS ტრეკერები - მიმდინარეობს მუშაობა საპილოტე ვერსიაზე (მესტია - ყაზბეგი) და შემდეგ ჩაეშვება სრულად	მიმდინარე	2014 წლის მარტი	2014 წლის ბოლომდე
2. შშმ პირებისთვის „112“-თან მოკლეტექსტური შეტყობინებების საშუალებებით დაკავშირების სერვისის შემუშავება	მიმდინარე		2014 წლის ბოლომდე
ინდიკატორი	დანერგილია 112-თან დაკავშირების ალტერნატიული არხები		
რისკები და ვარაუდები	პრაქტიკაში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების გამო შესაძლოა შესრულების ვადებმა უმნიშვნელოდ გადაიწიოს		

ვალდებულება 26: ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა

ვალდებულება ეხმიანება უსაფრთხო გარემოს შექმნის გამოწვევას. აგრეთვე, მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ ღიაობას, საზოგადოების წინაზე ანგარიშვალდებულებას დანაშაულის შესახებ საინფორმაციო სისტემის განვითარებისა და დანაშაულის დეტალური სტატისტიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით. ვალდებულება გულისხმობს დანაშაულის სტატისტიკის გამრავალფეროვნებასა და წარმოდგენას ინტერაქტიული და ინოვაციური ფორმატით.

1. ხელმისაწვდომი იქნება სისხლის სამართლის საქმეების ელექტრონული სისტემის მონაცემებზე დაფუძნებული ინტერაქტიული სტატისტიკა (სისტემა უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონულ წარმოებას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე).

2. გაეშვება დანაშაულის დეტალიზებული კრიმინოგენური რუკა, ინტერაქტიული ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს დეტალური და მრავალფეროვანი სტატისტიკის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ფორმატში და ცვლადებით, მათ შორის დროის, დანაშაულის ტიპის, რეგიონისა და სხვ. პარამეტრების მიხედვით.

პასუხისმგებელი უწყება: *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო*

განხორციელების ვადა: 2014 – 2015

ვალდებულება 26: დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკა და კრიმინოგენური რუკა				
წამყვანი დაწესებულება		შინაგან საქმეთა სამინისტრო		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა		
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეისთვის დანაშაულის სტატისტიკასთან დაკავშირებით არ არსებობს საჯარო ინფორმაციის მიღების ალტერნატიული გზები, გარდა ოფიციალური კორესპონდენციებისა.		
მთავარი მიზანი		ინფორმაციის მიღების ოპერატიულობის, აგრეთვე პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა, შსს-ს მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.		
OGP გამოწვევა		საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა		
OGP პრინციპები		გამჭვირვალობა	ანგარიშვალდებულება	სამოქალაქო ჩართულობა
		✓	✓	
განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
1.		პროგრამული ნაწილის ამოცანის დასმა, შეფასება და დაგეგმვა	რეალიზებულია დასმული ამოცანის 60-65%	2014	2014
2.		შესაბამისი ტექნიკური პარამეტრების მქონე GPS მოწყობილობების შეძენა	ახალი	2014	2014
3.		ვებ-პორტალის დიზაინის დამუშავება	ახალი	სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივი პროცესი	
4.		დასმული ამოცანის რეალიზაცია		2015	2015
5.		დანაშაულის ინტერაქტიული რუკის გაშვება სატესტო რეჟიმში	ახალი	2015	2015
ინდიკატორი		დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკა და რუკა გაშვებულია და ფუნქციონირების სატესტო რეჟიმში		
რისკები და ვარაუდები		აპარატურის შეძენასთან დაკავშირებული სირთულეები. გაშვების შემდეგ საჭიროა სისტემის ერთწლიანი ტესტირება.		

IV. გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
2. მთავრობის კანცელარია
3. საქართველოს უზენაესი სასამართლო
4. შინაგან საქმეთა სამინისტრო
5. სსიპ იუსტიციის სახლი
6. სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო
7. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
8. სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო
9. სახელმწიფო აუდიტის სამსახური
10. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
12. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
13. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
14. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი
15. სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური~
16. სსიპ „112“

ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმა

ვალდებულებათა ჩამონათვალი

ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა									
N	ვალდებულება	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	გამოწვევა				
გამოწვევა I. საჯარო მომსახურების გაუმჯობესება									
					I	II	III	IV	V
1.	კერძო სექტორის სერვისების დანერგვა იუსტიციის სახლებში	სსიპ იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სადაზღვევო კომპანიები; სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	2014 წ.	x	x			
2.	მომხმარებლის ხმა	სსიპ იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		2014 წ.	x	x			
3.	მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული ახალი სერვისის - JUSTdrive-ის ამოქმედება	სსიპ იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,	2014 წ.	x	x			

		სამინისტრო	საქართველოს ეროვნული არქივი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, სმართ ლოჯიქი						
4.	მოქალაქის პორტალის www.my.gov.ge -ის განვითარება	სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები; ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები.	2014-2015 წწ.	x				
5.	ელექტრონული მართველობის დანერგვის გზით ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება - საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში; - ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში	სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ადგილობრივი თვითმმართველობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს მექანიზატორი, იუსტიციის სამინისტროს ტრენინგ ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი; ევროკავშირი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“,	2014–2015 წწ.	x	x			

			ლიბერთი ბანკი, მაგთიკომი, ევროკავშირი, UGT						
6.	რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით	სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია	2014 წ.	x	x	x		
7.	ციფრული ხელმოწერა და ონლაინ ავთენტიფიკაცია	სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	2014–2015 წწ.	x				
8.	ღია მონაცემების პორტალის შექმნა (DATA.GOV.GE)	სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები, ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები.	2014-2015 წწ.		x			
გამოწვევა II. საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება									
9.	ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	მხარდამჭერი: „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	2015 წ. გაზაფხული		x			

10.	ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი - ეროვნულ დონეზე ეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებები, არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები და საჯარო დაწესებულებები.	2014 წლის იანვარი - სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის განმავლობაში		x			
11.	ელექტრონული პეტიციების პორტალის (ICHANGE.GE) შექმნა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	მონაცემთა გაცვლის სააგენტო; საქართველოს პარლამენტი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საჯარო სამსახურის ბიურო; IDFI; USAID G3	2014-2015 წწ.		x			
12.	საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი წესები	საჯარო სამსახურის ბიურო	სპეციალური სამუშაო ჯგუფი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები	2014 წ.		x			
13.	საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა	საჯარო სამსახურის ბიურო	ანტიკორუფციული საბჭო; საქართველოს მთავრობა; საქართველოს პარლამენტი; გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GIZ	2014-2015 წწ.		x			
14.	პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშებისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში	სახელმწიფო აუდიტის სამსახური		2014 წ.		x			
15.	ონლაინ საჯარო კონსულტაციის	შინაგან საქმეთა		2014 წ.		x		x	

	მექანიზმის დანერგვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ–გვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	სამინისტრო							
16.	ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება	საქართველოს უზენაესი სასამართლო		2014-2015 წწ.		x			
17.	საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია და სხვა დაინტერესებული საჯარო დაწესებულებები; ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები	2014 წ.		x			
გამოწვევა III. საჯარო რესურსების უკეთესი მართვა									
18.	საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება	საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს პარლამენტი; საერთაშორისო ორგანიზაციები; არასამთავრობო სექტორი	2014-2015 წწ.	x	x			
19.	სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება - „ყველა ყველაფერს ხედავს“	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		2014-2015 წწ.	x	x	x		
20.	საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება	საჯარო სამსახურის ბიურო	სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	2014-2015 წწ.			x		
21.	ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა	საქართველოს ეროვნული	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2014-2015 წწ.	x		x		

		არქივი, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო							
22.	ეროვნული არქივის გამჭვირვალობა და საარქივო ფონდის ხელმისაწვდომობის გაზრდა	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს ეროვნული არქივი; შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი; ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები	2014-2015 წწ.					
23.	შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	2014-2015 წწ.					
24.	საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა	სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, ფინანსთა სამინისტრო	ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ფინანსთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორების ადმინისტრაციები; საქართველოს ადგილობრივ	2014-2015 წწ.			x		

			თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია						
გამოწვევა IV. უსაფრთხო გარემოს შექმნა									
25.	112-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა	სსიპ „112“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი (GPS ტრეკერების კუთხით); UNDP (SMS და ვიდეო ზარი)	2014 წ.				x	
26.	ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა	შინაგან საქმეთა სამინისტრო	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა	2014-2015 წწ.		x		x	